ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკეობით

№ 19(75)

15 მაისი, პარასკევი, 1992 წ.

## მიმართვა
## საქართველოს მთავრობასა და ხელისუფლებას

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი გთხოვთ და მოითხოვს თქვენგან დაუყოვნებლივ ღონისძიებებს ოსი სეპარატისტების პარპაშის აღსაკვეთად.

საქართველოს სახალხო ფრონტი ამ მამულიშვილურ საქმეში გიცხადებთ სრულ თანადგომას და მზად ვართ მხარში ამოგიდგეთ ჩვენს ხელთ არსებული ყოველგვარი შესაძლებლობებით.

ამასთან, საქართველოს სახალხო ფრონტი მიმართავს ყველა პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, განსაკუთრებით იმ დაჯგუფებათა წარმომადგენლებს, რომელნიც ოპოზიციაში უდგანან არსებულ ხელისუფლებას, რომ დაივიწყონ პარტიული კინკლაობა, გვერდზე გადადონ რევანშისტული სურვილი და მოთხოვნილებები და ჩვენი ერისათვის ამ მძიმე ჟამს შეიკრან ერთ მუშტად საქართველოს ინტერესების საკეთილდღეოდ.

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი მიმართავს მოსახლეობას, განსაკუთრებით ექსპრეზიდენტის მომხრე მოქალაქეებს. ვინაიდან სამაჩაბლოში შექმნილია საომარი ვითარება, ნუ გამართავენ დედაქალაქში მიტინგებს, ნუ შეეცდებიან ქვეყნის ცხოვრების დესტაბილიზაციას და მდგომარეობის კიდევ უფრო დამძაბვას. დღეს ასეთი ქმედება ერის ღალატის ტოლფასია, რადგან ერისა და ბერის ყურადღება მიქცეული უნდა იყოს სევგამწარებული შიდა ქართლისაკენ. თანამემამულენო, ნუ გავახარებთ მტერს, ნუ დავქუცმაცდებით, ნუ დავიყოფით, ნუ გავთითოკაცდებით.

შინაური შფოთი და კინკლაობა გვერდზე გადავდოთ. გახსოვდეთ საქართველო უპირველეს ყოვლისა.

საქართველოს სახალხო ფრონტი

## ინფორმაცია:

13 მაისს, ოთხშაბათს, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაური ბატონი ედუარდ შევარდნაძე ჯაბა იოსელიანთან, სანდრო კავსაძესთან, რობიზონ თუშურაშვილთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად შევიდა ცხინვალში, ბანდების მოქმედების ზონაში...

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ელაპარაკა იქ იმ პირებს, ვისთანაც საჭირო იყო საუბარი.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 1990 წლიდან, ოსი ბანდიტების გააქტიურების შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ფეხი ცხინვალში არ დადგმულა, რადგან „ცოტა“ სარისკო საქმე გახლდათ ეს...

*

14 მაისი. წინა დღის მოლაპარაკების შედეგად საომარი მოქმედება შეწყვეტილია.

*

ამ დღეებში ოს ბანდიტებთან ბრძოლას შეეწირა 9 ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე!

ტერიტორიის ხელიდან გამოცლა და დაკარგვა ყველა უბედურებას აღემატება, მეტადრე იმისთანა ერისათვის, რომელიც სცხოვრობს მარტო მხნელ-მთესველობით, ტერიტორიის დაკარგვა სავსებით უდრის ამისთანა ერის აღმოფხვრასა.

იაკობ გოგებაშვილი

## ინფორმაცია:

ყველასათვის ცნობილია, რომ ცხინვალში, რუსეთის შინაგანი ჯარების გაყვანის შემდეგ, დარჩა ვერტმფრენების ერთი პოლკი, რომელიც მრავალ უსიამოვნებას უქმნის მოსახლეობას. რამდენადაც ცნობილია, აღნიშნული პოლკის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა არმიის ხელმძღვანელობას ჯერჯერობით არა აქვს დაგეგმილი, მაგრამ როგორც პოლკის ხელმძღვანელობამ განაცხადა, მათ შეუძლიათ დატოვონ დისლოკაციის ადგილი თუ საქართველო ას მილიონ მანეთს გადაიხდის. ეს თანხა საჭიროა პოლკის სხვა ტერიტორიაზე ბაზირებისათვისო.

*

როგორც გვაუწყეს, ცნობილი ხელოვანი, ბატონი ზურაბ წერეთელი აკეთებს ქრისტეფორე კოლუმბის უზარმაზარ ძეგლს, რომელიც ამერიკაში უნდა დაიდგას.

ამერიკელები ამ საქმისათვის თურმე ერთ დოლარსაც არ იხდიან და იმაზედაც ორჭოფობენ მიილონ და დადგან თუ არა კოლუმბის აღნიშნული ქანდაკება.

ჩვენს დიდ მოქანდაკეს როგორც ჩანს მიაჩნია, რომ ამგვარი ქველმოქმედება საქართველოსთვის ზედმეტია, რადგან ამერიკასთან შედარებით ვდულვართ და გადმოვდულვართ...

## სრულიად რუსეთის ჯარისკაცთა დედების კომიტეტს

საქართველოს სახალხო ფრონტი იძულებულია მოგმართოთ თქვენ დაბეჯითებითი თხოვნით, გავლენა იქონიოთ რუსეთის ხელისუფლებასა და „სნგ“-ს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობაზე და ხელი შეუწყოთ ამ შეიარაღებული ძალების დაუყოვნებელ გაყვანას საქართველოს რესპუბლიკის ცხინვალის რეგიონიდან.

ჩვენ გაგვაჩნია უეჭვო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ „სნგ“-ს (რუსეთის) შეიარაღებულ ძალთა პირდაპირ და არაპირდაპირ მონაწილეობას დასახელებულ რეგიონში მიმდინარე კონფლიქტში. ხოლო რამოდენიმე დღის წინ ერთერთმა მაღალი რანგის ოფიცერმა განაცხადა, რომ გარკვეულ გარემოებებში ეს ნაწილები „ალგვიან პირისაგან მიწისა შიდა ქართლს“, ე.ი. საქართველოს რესპუბლიკის დიდ ნაწილს. თქვენ, რა თქმა უნდა გესმით, რომ ასეთ გამონათქვამებს და, მითუმეტეს მუქარის განხორციელების ცდებს, არ შეუძლიათ არ გამოიწვიონ ჩვენი მხრიდან საპასუხო რეაქცია, რაც აუცილებლად მიგვიყვანს არასასურველ შედეგებამდე. ასეთი რამ დაუშვებელია, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკური ძალები და საზოგადოებრიობა ესწრაფვიან საკითხის პოლიტკური გზით გადაწყვეტას.

სამწუხაროდ რუსეთის ოფიციალური იერარქიის ზოგიერთი ძალა, ხელმძღვანელობს რა სახელმწიფოებრივი მოწყობის იმპერიული გაგებით, ხელს უშლის ადგილებზე სამშვიდობო პროცესებს, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება „სნგ“-ს (რუსეთის) მიერ დეკლარირებულ პოლიტიკას. ბუნებრივია, ეს ჩვენი ქვეყნების ინტერესებსაც ეწინააღმდეგება. ის გარემოება, რომ ასეთი რამ ხდება რუსეთის დემოკრატიული ძალების მდუმარე თანხმობით, იწვევს ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის გაოცებას. ყოველი ადამიანის სიცოცხლე ხომ ფასდაუდებელია და ყველაფერზე მაღლა დგას.

თუკი თქვენი წარმომადგენლები საჭიროდ ჩათვლიან, ჩამოვიდნენ საქართველოში სიტუაციის ადგილზე გასაცნობად, ჩვენ ყოველმხრივ დავეხმარებით.

დრო იწურება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ძალისხმევას არ მოაკლებთ თქვენი და ჩვენი შვილების გადარჩენის საქმეს.

**პატივისცემით სსფ-ს სამდივნო.**

**მიმართვა მიღებულია სსფ-ს სამდივნოს სხდომაზე.**

**13.05.92წ.**

## დატოვა ჩეჩნეთი გამსახურდიამ?

გამსახურდიამ დატოვა ჩეჩნეთი, ასე განუცხადეს საინფორმაციო სააგენტო „იფრინდას“ კორესპონდენტს ჩეჩნეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, რომლებმაც არ ისურვეს თავიანთი ვინაობის გამხელა. მისი ახლანდელი ადგილსამყოფელი უცნობია. ჩვენამდე მოღწეული მონაცემებით ექსპრეზიდენტის ოჯახი უნდა იმყოფებოდეს კვლავ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, შატოევის რაიონის სამთავრობო აგარაკზე.

# ყველაფერი არის ძლიერ ცუდად

## (სსფ დარბაზის სხდომის ანგარიში)

### რა ხდება დღეს შიდა ქართლში?

13 მაისს გამართული საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა საოცარი სულიერი სიმძიმილის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. დასაწყისში დარბაზის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 11 მაისს, სოფელ ერგნეთში ოსი ბანდიტების მიერ მოკლული გორის „იმედის" სადროშოს თავკაცისა და გვარდიის მებრძოლის, გიორგი ხახუტაშვილის ხსოვნას.

ცხინვალის რეგიონის პრობლემებსა და იქ მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებზე ვრცლად ისაუბრა სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ ნათაძემ. მან კერძოდ, აღნიშნა, რომ დიდი ხანია, რაც შიდა ქართლის კონფლიქტი გადაიზარდა სისხლისმღვრელ ომში, სადაც არა მარტო ოსი იბრძვის საქართველოს ძირძველი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად, არამედ სხვა გარეშე ძალებიც. როცა გზირაბიდან ოსი სეპარატისტები განუწყვეტლივ მარაგდებიან დიდი რაოდენობის საბრძოლო ტექნიკითა და ტყვია-წამლით. ჩვენი დაზვერვის მიერ ამ დღეებში დაფიქსირდა რამდენიმე ჯავშანმანქანის შემოსვლის შემთხვევა. იყო ფაქტები, როდესაც ქართულ სოფლებს ტყვიამფრქვევის ცეცხლს უშენდნენ შვეულმფრენებიდანაც. თუმცა რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა მორიგი დეზინფორმაცია გაავრცელეს, თითქოს ქართველებს დაებომბოთ ცხინვალი შვეულმფრენებიდან. ყოველდღე ხდება შეიარაღებული თავდასხმები ქართულ სოფლებზე, რომლებიც სუსტად არის დაცული მილიციის რაზმებისა და თავად მოსახლეობის მიერ. გუშინ ოსებმა სოფ. ფრისში დაწვეს შვიდი ქართველი, რომელთა ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

დღესდღეობით ვითარება ასეთია: ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონის 15 ქართული სოფლიდან 13 დაცლილია, დარჩენილი სოფლების მოსახლეობა კი ღვთის ანაბარადაა დატოვებული. დახოცილი და დაჭრილია რამდენიმე ასეულობით ადამიანი. ალყაშემორტყმულია 9 ქართული სოფელი, რომელთა მცხოვრებლები მოკლებული არიან ყოველგვარ დახმარებას და განიცდიან საოცარ სიდუხჭირეს. გარდა ამისა, ცხინვალიდან გამოდევნილია მთელი ქართული მოსახლეობა. ქალაქი და მისი მიმდებარე ტერიტორია მთლიანად ოსი ბანდების ხელში იმყოფება, რომლებმაც მთლიანად გაძარცვეს ან დაწვეს ქართველთა სახლები.

ბატონმა ნოდარ ნათაძემ ისაუბრა ომის შედეგად ცხინვალიდან და ქართული სოფლებიდან ლტოლვილ ქართველთა მძიმე მდგომარეობაზე იქ, სადაც ისინი დროებით არიან თავშეფარებულნი. მან კერძოდ აღნიშნა, რომ მიუხედავად ხელისუფლების დახმარებისა, სათანადოდ ვერ ხერხდება მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. არცთუ იშვიათად ადგილი აქვს აშკარა უყურადღებობას მათ მიმართ. არის შემთხვევები, როდესაც გაუბედურებულ ადამიანებს სასტუმროებში კვებაც კი შეუწყვიტეს. ბოლომდე არ არის გარკვეული მათი დაბინავებისა და დასაქმების პრობლემაც.

### ერთი დეზინფორმაციის გამო

სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ფარდა ახადა რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ერთ დეზინფორმაციულ ცნობას, რომელსაც ოსურ-ქართული კონფლიქტის კონტექსტში მუდამ „წარმატებით" იყენებენ საქართველოს წინააღმდეგ. საქმე ეხება ოს ლტოლვილთა რაოდენობას ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიიდან" და საქართველოს სხვა რეგიონებიდან. ყველაზე ხშირად ასახელებენ შემდეგ ციფრებს: 80-100-120 ათასი ლტოლვილი. კომისიის შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქართველოდან წასულია ჩრდილოეთ ოსეთში დაახლოებით 20 ათასი ოსი ეროვნების წარმომადგენელი. მათგან ზოგიერთებმა გადაუცვალეს ბინები იქაურ ქართველებს, ზოგიერთებმაც გაყიდეს, და ძალიან მცირე ნაწილია ისეთი ოსებისა, რომელთაც საქართველოდან წასვლა აიძულა საომარმა სიტუაციამ და პოლიტიკურმა ვითარებამ. ლტოლვილებად კი სწორედ ეს უკანასკნელები უნდა ჩაითვალონ. ასე რომ, თუ სიმართლეს ბოლომდე გავყვებით, იმ ოცი ათასი ოსიდან, რომლებმაც საქართველოს ტერიტორია დატოვეს და ვლადიკავკაზში იმყოფებიან, ნახევარიც კი არ აღმოჩნდება ლტოლვილი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ცხინვალში ბოლო თვეების განმავლობაში მრავალი ოსი დაბრუნდა საცხოვრებლად (არის მათი თბილისში დაბრუნების რამდენიმე შემთხვევაც, რასაც თან ახლავს კონფლიქტური სიტუაციები, რომელთა შესახებ ჩვენ წინა ნომერში უკვე გვქონდა საუბარი), ეს ციფრი კიდევ უფრო ქვემოთ დაიწევს. თუმცა თავისთავად ის ფაქტი, რომ არსებობენ ლტოლვილები როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, ყველაფრის მიუხედავად, ძალზე სამწუხაროა.

### რა იქნება ხვალ?

იმის ფონზე, რაც დღეს ხდება შიდა ქართლში თითქოს სათუო არ უნდა იყოს, რომ იქ კარგი ამბები მომავალშიც არ არის მოსალოდნელი. მაგრამ არის იმედის პაწია ბილიკები, რომელზე გავლაც ჩვენი დიპლომატებისა და პოლიტიკოსების გამჭრიახობის საქმეა. წინა ხელისუფლებამ თითქმის ერთი წელი დაკარგა სამაჩაბლოს პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვენი მრავალმხრივი თხოვნის მიუხედავად შეექმნა სახელმწიფო კომისია, რომელიც მობილიზაციას გაუწევდა ყოველგვარ ადამიანურსა თუ მატერიალურ რესურსებს, რაც ამ ბრძოლის მოსაგებადაა საჭირო, მან ეს კომისია არ შექმნა, — აღნიშნა ბატონმა ნოდარმა. ორი თვე დააგვიანა დროებითმა მთავრობამაც. მხოლოდ ბატონი ედუარდ შევარდნაძის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შემდგომ შეიქმნა ცხინვალის რეგიონის პრობლემათა შემსწავლელი კომისია და მოგვიანებით კი ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანთა უფლებების სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც ძალიან ენერგიული და პატიოსანი ადამიანი, ამ რეგიონის კარგად მცოდნე ალექსანდრე კავსაძე ხელმძღვანელობს. გორში ფუნქციონირებს სამხედრო შტაბი ბ-ნ რობინზონ თუშურაშვილის თავკაცობით. ერთი სიტყვით საქმე ადგილიდან დაიძრა.

დასასრულ ბატონმა ნოდარმა აღნიშნა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლებისა და მისი ხელმძღვანელის მხრიდან ხედავს სერიოზულ დამოკიდებულებას შიდა ქართლის პრობლემებისადმი. ძირითადი ტვირთიც სწორედ ხელისუფლებას აწევს მხრებზე, ამიტომ მას დახმარება სჭირდება და არა წინასწარგანზრახული კრიტიკა და კრიჭაში დგომა. თუმცა უკანონო ავტონომიური ოლქის აღდგენაზე ყოველგვარი საუბარი კატეგორიულად დაუშვებელია. სსფ დარბაზის წევრის, ბატონ გოჩა გავაშელის წინადადებით გადაწყდა რაიონებში შეიქმნას მოხალისეთა რაზმები, რომლებიც სახელწიფო საბჭოს გადაწყვეტილების შემთხვევაში თავიანთ მიწა-წყალს დაიცავენ ნებისმიერი აგრესორისაგან.

### „ბერლინის კედელი" აჭარა-გურიის საზღვარზე?

აჭარაში მიმდინარე მოვლენებზე და იქ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე ვრცელი ინფორმაცია გააკეთა აჭარის უზენაესი საბჭოსა და სახალხო ფრონტის დარბაზის წევრმა ავთანდილ ბერიძემ.

როგორც საზოგადოებამ იცის, — აღნიშნა ორატორმა, — 8 მაისს ექვსი თვის გაუმართლებელი დაგვიანების შემდეგ გაიმართა აჭარის უზენაესი საბჭოს სესია. მას წინ უძღვოდა მასობრივი დაშინების, მორალური და ფიზიკური ტერორის არაერთი მცდელობა. ბლოკ „აჭარის" დეპუტატებს, რომლებიც ოპოზიციაში უდგანან ასლან აბაშიძის ავტორიტარულ მმართველობას აღკვეთილი აქვთ ყოველგვარი საშუალება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით სარგებლობისა. თავად ბატონი ავთანდილ ბერიძე უცნობმა პირებმა სასტიკად სცემეს იმის გამო, რომ იგი ხელვაჩაურის რაიონის სახალხო ფრონტის გაზეთ „მაჭახელას" ფურცლებზე (რომელიც აჭარაში გამომავალი ერთადერთი ოპოზიციური გაზეთი გახლავთ) აქვეყნებდა მამხილებელ პუბლიკაციებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური საქმიანობის შესახებ. (ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან). ამის გამო გაზეთის ბოლო, 6 მაისის ნომერი აჭარის საზღვრებს გარეთ დაიბეჭდა. საქმეს უაღრესად ართულებს ის გარემოებაც, რომ ყოველგვარი ნებართვის გარეშე მოსახლეობაში დარიგებულ იქნა 4000 ცალი საბრძოლო ავტომატი. (მკითხველო, და ეს ხდება მაშინ, როცა შიდა ქართლის დამცველებს იარაღი არა აქვთ. კ.ლ.).

აი სწორედ ასეთ ვითარებაში გაიხსნა აჭარის უზენაესი საბჭოს სესია. მაგრამ ვაი, ასეთ გახსნას! სესიაზე არ დაუშვეს თბილისიდან ჩასული კორესპონდენტები, ტელეჟურნალისტებს არ მისცეს სესიის „მუშაობის" გადაღების უფლება და ისინი ადგილზე „განაიარაღეს" აჭარის უზენაესი საბჭოს მცველებმა. ასევე არ დაუშვეს სესიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი, ბატონი ქლენტი ბიულეტენზე ყოფნის მომიზეზებით. თუმცა ძაღლის თავი სულ სხვაგან მარხია...

ამგვარმა განიარაღება-გაძევების პროცედურამ ერთ საათს გასტანა. დღის წესრიგის გამოცხადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მასში არ იყო შეტანილი საარჩევნო ბლოკ „აჭარის" მიერ დასმული საკითხი — აჭარის უზენაეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების ანგარიშის შესახებ მათი ექვსი თვის მუშაობის მანძილზე. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ხანგრძლივი სიტყვიერი შეხლა-შემოხლის შემდეგ, რომლის წარმოდგენაც საქართველოს ყოფილ უზენაესი საბჭოს სესიების მხილველ ადამიანებს არ გაუჭირდებათ, — მხარეები როგორც იქნა შეთანხმდნენ. გადაწყდა, რომ სესია განახლდება 20 მაისს და მასზე საანგარიშო მოხსენებით წარსდგებიან აჭარის ხელისუფალნი.

ბატონმა ავთანდილ ბერიძემ გულისტკივილით ილაპარაკა თბილისელი ჟურნალისტების დაუინტერესებლობაზე აჭარაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებითა და მათ მიერ ზოგიერთი ფაქტის ტენდენციური გაშუქების თაობაზე. აღნიშნა, რომ ზოგიერთი ტელეჟურნალისტის მიერ მომზადებული აშკარად მომხმარებლური და არაობიექტური გადაცემების შედეგად საზოგადოებაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ აჭარაში საქმე კარგად მიდის. მაშინ, როცა ადგილი აქვს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრიდან აშკარად სეპარატისტულ პოლიტიკას. ასე მაგალითად, არ სრულდება სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებები, ნახევარ წელზე მეტია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე არ ჩამოსულა თბილისში. უფრო მეტიც, იგი დაუფარავად აცხადებს, რომ მის უნებართვოდ ჩიტიც კი ვერ შემოფრინდება აჭარაში. ხოლო „ჩიტები რომ არ შემოფრინდნენ" ამისათვის, მისი განკარგულებით, აჭარა-გურიის საზღვარზე, მდინარე ჩოლოქთან ბერლინის კედელივით აღმართეს საგუშაგო, რომელსაც მესხეთის ყოფილ საგუშაგოს თუ არ ჩავთვლით, საქართველოში ანალოგი ჯერჯერობით არ მოეძებნება. ერთი სიტყვით, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს...

* * *

დარბაზის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი, ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი. საუბარი შეეხებოდა გაზეთის შემოქმედებით საქიანობასა და პერსპექტივებს, აგრეთვე იმ პრობლემებს, რომელთაც ადგილი აქვთ გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით.

ბატონმა ნოდარმა, კერძოდ, აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ „საქართველო" არის სახალხო ფრონტის ბეჭდვითი ორგანო, იგი უწყებრივი ჩარჩოებით არ იფარგლება. თავისთავად ის ფაქტი, რომ სახალხო ფრონტი ზეპარტიული ორგანიზაციაა ავალდებულებს გაზეთის შემოქმედებით კოლექტივს თავადაც ზეპარტიული პრინციპით იხელმძღვანელოს.

დარბაზის წევრებმა გაზეთ „საქართველოს" რედაქციის მუშაობა დადებითად შეაფასეს.

დარბაზის სხდომაზე კიდევ არაერთ საჭირბოროტო საკითხზე იყო გულახდილი და დაუფარავი მსჯელობა, მაგრამ მათზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. ცნობისათვის მხოლოდ ერთს გეტყვით: 20 მაისს, სსფ მომდევნო სხდომაზე სახელმწიფო საბჭოს მუშაობის შესახებ ანგარიშით წარსდგება სახელმწიფო საბჭოსა და სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი, ბატონი ლევან მესხი. ამ მოხსენებისა და დარბაზის სხდომის ჩანაწერს მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.

კობა ლიკლიკაძე

---

# მზად უნდა ვიყოთ ყველა ვარიანტისათვის



რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შექმნილია ცხინვალის რეგიონის სპეციალური სამთავრობო კომისია. სამუშაო ოთახის მოსაცდელში უამრავი ხალხი ტრიალებს. წამდაუწუმ რეკავს ტელეფონი თბილისიდან, გორიდან. უნდა მოგვარდეს ბლოკირებულ ქართულ სოფლებში სურსათის შეზიდვა. ცხინვალში თავმოყრილია გვარდიის ნაწილები — ბენზინს ითხოვენ. მოსაცდელში სამაჩაბლელი ქართველები იცდიანო, ამბობს მდივანი გოგონა. მალე თათბირი უნდა დაიწყოს. კომისიის პასუხისმგებელ მდივანს ბ-ნ ჰენრი კუპრაშვილს ინტერვიუ ვთხოვეთ. რამდენიმე წუთით ოთახის კუთხეში ვსხდებით.

**— შიდა ქართლში გამწვავებული მდგომარეობა ერთი ორად ზრდის ინტერესს იმ პირებისა და სამსახურების საქმიანობისადმი, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ამ რეგიონში შექმნილ პრობლემებზე. ამდენად, საინტერესოა, რა ამოცანები დგას თქვენი კომისიის წინაშე.**

— უპირველესი და უმთავრესი ამოცანაა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის სასწრაფოდ და მშვიდობიანად მოგვარებისათვის ხელისშეწყობა, ლტოლვილი ადამიანების საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების ორგანიზაცია, მოსახლეობის სიცოცხლის ღირსებისა და პირადი საკუთრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კონფლიქტის უარყოფითი შედეგების სალიკვიდაციო ზომების მიღება, გარდა ამისა, კონფლიქტის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ბლოკადაში მოქცეული მოსახლეობის და კონფლიქტის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრების სოციალური, საყოფაცხოვრებო, ეკონომიკური საკითხების გადაჭრა, მათი მატერიალური ზარალის აღდგენისათვის ზრუნვა, მათი სიცოცხლისა და პირადი საკუთრების დაცვისათვის სამინისტროების, უწყებებისა და დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინირება.

სამუშაოს მოცულობა დიდი და შრომატევადია: ლტოლვილების რაოდენობის დაზუსტება და სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, მათი შრომის სახელმწიფო და რეგიონალურ ბირჟებზე რეგისტრაცია და ხელფასის ოდენობის დახმარების გაცემა. მოსახლეობის საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის უზრუნველყოფისათვის მილიციის ქვეგანყოფილების ამოქმედება. აუცილებელია გაყვანილ იქნას შემოვლითი გზა ერედვიდან ხეითამდე. ეს ბლოკირებული სოფლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე გახლავთ. აი, ერთი ნაწილი პრობლემებისა იმ ნუსხიდან, რაც შიდა ქართლის გადარჩენის ამოცანას შეადგენს.

**— რა მდგომარეობაში იმყოფებიან სამაჩაბლოელი ლტოლვილები?**

— ლტოლვილები გაფანტულები არიან სხვადასხვა ადგილებში. ისინი იმყოფებიან სასტუმროებში, სანატორიუმებში, კერძო ბინებში. უნდა აღინიშნოს, რომ მათი პირობები საკმაოდ მძიმეა და აუტანელი. ლაპარაკიც ზედმეტია რაიმე სანიტარული ნორმების დაცვაზე.

ვცდილობთ, მცირეწლოვანი ბავშვებიანი ოჯახებისათვის კვირაში ერთხელ მაინც გამოყოფილი იქნას რძე და რძის პროდუქტები. გავზარდოთ შაქრის ნორმა, მიეყიდოთ კარაქი შეღავათიან ფასებში.

ასეთი მძიმე პირობების მიუხედავად, ლტოლვილები ნაკლებად აყენებენ სოციალურ პრეტენზიებს. გამუდმებით მოითხოვენ რეალური ნაბიჯის გადადგმას შიდა ქართლში მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

„პოლიტიკური მეთოდები ამოწურულია, ჩვენ უნდა ვიომოთ".

„მიწას გვართმევენ, რა დროს გულხელდაკრეფილი ჯდომაა!"

„სამჯერ ნასამართლევ ბანდიტებს აძლევენ იარაღს და ჩვენ არ გვენდობიან."

„აღარ გვჯერა მთავრობის. გამოყვანილი იქნას იმ ცხრა სოფლის მოსახლეობა, რომ არ დაიხოცონ."

„ნიქოზში 6-7 მაისს თავდასხმას ვერ უპასუხეს მილიციონრებმა, რადგან ტყვიების ორ-ორი „აბოიმა" ჰქონდათ მხოლოდ".

ამას ამბობენ ლტოლვილები. შეიძლება ამ სიტყვებს ზოგჯერ თავშეკავება აკლდეს, მაგრამ ეს ის პრობლემებია, რომელიც 1989 წლიდან არ შეცვლილა.

მდგომარეობა სავალალოა. ორ წელზე მეტია რაც ალყაშია ქართული სოფლები: თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, სვერი, ძარწემი, ქემერტი და ხეითი. განადგურების მუდმივი საფრთხის წინაშეა პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლები, აგრეთვე ნიქოზი და ერგნეთი. მოსახლეობისაგან დაიცალა ბევრი საცხოვრებელი, ქართველები საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად იქცნენ.

**— დღეს ლაპარაკობენ კონფლიქტის მშვიდობიან მოლაპარაკებაზე და დამნაშავეებთან ანგარიშსწორებაზეც. არსებობს აზრი, რომ შერიგება შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას წინ მრავალი ბარიერი ელობება.**

— მშვიდობიანი გზა თეორიულად ყოველთვის არსებობს. ჩვენი ნება კეთილია. ჩვენი აზრით ყველა შესაძლებლობა უნდა ვცადოთ, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ მოვლენათა განვითარების ყველა ვარიანტისთვის.

ნიკოლოზ იორდანიშვილი

ზოგი ამბობდა, ოსები რუსებმა მოატყუეს და ყველაფერში მხოლოდ კრემლია დამნაშავეო, თორემ აქამდე რატომ ცხოვრობდნენ ქართველები ოსებთან სიამტკბილობაშიო. ნურას უკაცრავად, ბატონებო! აბა, მოუსმინეთ იქაურ ქართველებს, რომლებსაც მიწები ჩამოართვეს და იქ ოსები დაასახლეს, რომლებსაც ცხინვალში სამუშაო არ მისცეს და თბილისსა და სხვა ქალაქებში გაიხიზნენ. ინტელიგენცია ხომ კინაღამ მთლიანად გამოაძევეს, ზოგს როგორღაც ბედი სწყალობდა, ზოგის რიგი ჯერ არ იყო მოსული. მაგრამ ცხინვალში ცხოვრების ყველაზე მიღებული საშუალება მაინც იყო ოსებთან ე.წ. „ჩასიძება“ ან „ნათლიად მოკიდება“. ამ საშუალებამ ყველაზე მეტად გაამართლა თანამდებობებზე დანიშვნის საკითხში. ბევრი ქართველი გადაყვა ამ პიროვნულ ამბიციას.

სამაჩაბლოში ქართველთა შევიწროების კიდევ ერთი მაგალითი იყო ქართული სკოლების სიმცირე. მარტო ცხინვალში ორად-ორი, პირველი და მეოთხე სკოლები იყო ქართული, დანარჩენი 12 სკოლა ოსურ-რუსული იყო. ეს ორივე ქართული სკოლაც ზამთარში ცხინვალის „გათბობას“ შეეწირა, რადგან ორივე ხისაგან ნაგები შენობა იყო. ქართული ბავშვთა ბაგა-ბაღი, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა. სამაჩაბლოში ოსების ქართველებთან დამოკიდებულებაზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ამის მოკლედ თქმა ასეც შეიძლება: ოსები მტრობდნენ საქართველოს, როცა მას ყველაზე ძალიან უჭირდა...

მთელი საქართველო დიდი

# სამაჩაბლოს ცოდვა არც ერთ ქართველს არ მოასვენებს

ოვაციებით შეხვდა ოლქის გაუქმებას და ყველა მას სამართლიანობის აღდგენად მიიჩნევდა. ვგონებ, მართლებიც ვიყავით, რადგან სიტუაცია კულმინაციას გადაცილებული იყო. ზოგი მიიჩნევს, რომ ოლქის გაუქმება ნაჩქარევი იყო. ჩემი აზრით, ნაჩქარევი კი არა, დაგვიანებული იყო და ეს ბედოვლათი კომუნისტური ხელისუფლების დამსახურება გახლდათ.

კომუნისტ ხელისუფალთაგან ერთ-ერთი, ვინც პირველად შეამჩნია ოსების მიზანსწრაფვა და ვინც ცოტათი მაინც წინ აღუდგა მათ, იყო ბატონი ჭუმბერ პატიაშვილი. მან, როდესაც გვირაბის გახსნაზე მიემართებოდა როკაში, შეამჩნია ჯავის მისადგომებთან კლდეზე მიმაგრებული პლაკატი — „Цвети Осетия моя“ და უბრძანებია; სადაა ოსეთი, ჩამოსვლისას აღარ დავინახოო და მართლაც, ეს პლაკატი კლდის ძირას ეგდო 9 აპრილამდე. თუ ამ ამბავმა თქვენში ეჭვი დაბადა, შეეკითხეთ იმდროინდელი ოლქის ქართველ დეპუტატებს, საგანგებო სხდომას რომ ესწრებოდნენ ცხინვალში.

სამაჩაბლოში სიტუაციის გამწვავებაში ოსების გარდა რუსეთის ხელიც რომ ურევია, აქ ორი აზრი არ არსებობს.

ბევრს ალბათ ეჭვი ეპარება, რომ ამჟამად სამაჩაბლო რუსეთის შემადგენლობაშია, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. ქართველების ამაყი ხასიათი რომ ვიცი, შეიცხადებენ, ეგ არ მომხდარა და არც მოხდებაო. აბა, ერთი გაბედონ და... მორჩა, ამით გათავდება საქმე.

ზოგს, რა დასამალია და, მოსწყინდა კიდეც სიტყვა სამაჩაბლო. არაერთს წამოუძახებია ეს ნაღდი სამაჩაბლოელისათვის.

სამაჩაბლოში არის 9 ქართული სოფელი; ესენია ლიახვის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლები: თამარაშენი, ზემო და ქვემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი და მარცხენა მხარეს მდებარე — სვერი, ქემერტი, ძარწემი და ხეითი, რომლებიც ცხინვალსა და ჯავის რაიონს შორის არიან მოქცეული და მათ უნდა ვუმადლოდეთ, რომ სამაჩაბლო ასე თუ ისე დედა საქართველოს ერთი ძაფით მაინც უკავშირდება. აი, ეს სოფლებია ის „გაუტეხავი ძვალი“, მგელს რომ აქვს ხახაში გაჩხერილი და ღმერთმა ნუ ჰქნას, ამ ძვალისაგან განთავისუფლდეს, რადგან ამ მხარეს საქართველო დიდი ხნით დაემშვიდობება. მერე, როცა იქნება გამოფხიზლდება ქართველი ხალხი და თავში ხელს შემოიკრავს, „ვაი, შენ, ქართველოო“ და ეს რომ ასე არ მოხდეს, ყველა უნდა დავირაზმოთ. ბოლოს და ბოლოს, სირცხვილია, ხიზანმა ეს დღე დაგვაწიოს.

ისიც მინდოდა მეთქვა, რომ ბევრი სპეკულიანტობდა და სპეკულიანტობს სამაჩაბლოს სახელით. ისეთ სოფლებშია წაღებული მთავრობიდან იარაღი, რომ ცხინვალიდან ნასროლი ტყვია თუ ჭურვიც კი ვერ ჩააღწევს იქამდე.

მე არ მინდა ვთქვა, რომ მხოლოდ ბლოკირებულ სოფლებს უჭირთ. არა, ქართველობას ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მრავალგან უჭირს, ზნაურის რ-ნში, ნიქოზში, ერგნეთში, მამისაანთუბანში, ერედვში და სხვა მრავალ სოფელში, მაგრამ კვლავ გიმეორებთ, ბლოკირებული სოფლების ბედი სულ სხვაა.

ყველა თავს იწონებდა და იწონებს, სამაჩაბლოში ვიბრძვი და ვიბრძოლებო. ჩვენს სოფლებში წელიწადზე მეტია არავინ შემოსულა და არც არავისთვის გვითხოვია შემოსვლა, რადგან ვიცოდით, რომ უცხოსათვის (არა ადგილობრივისათვის) ეს მიწა სასაკლაოა. მხოლოდ იარაღსა და მორალურ დახმარებას ვითხოვდით საქართველოსაგან, მაგრამ ქართველობამ,- იმის მაგივრად, რომ ქვეყნის ერთიანობაზე ეფიქრა, ერთმანეთის ქიშპობასა და ხოცვას შეალია ჯანი.

ვერ გამიგია და ალბათ ვერც გავიგებ, ყველას ჩვენ რატომ უნდა ვეპირფეროთ ჩვენს მიწაზე, რატომ უნდა უხადო ბოდიში იმას, ვინც შენს სამშობლოს, ენას და ხალხს მასხრად იგდებს, გებრძვის და შენს გასრესას ლამობს. დროა გონს მოვეგოთ, ხალხნო, ყველა მოკეთე ნუ გვგონია. მივხედოთ ქართველობას, თორემ შეიძლება ისეთ დღეში ჩავვარდეთ, რომ ჩვენვე მოგვიწიოს ჩვენი ადგილიდან გახიზვნამ და ამის ნათელი მაგალითია სამაჩაბლო.

ჩემი აზრი ასეთია: კატეგორიულად უნდა მოვთხოვოთ ოსებს დიალოგზე წასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შეიქმნას ადგილობრივი მოსახლეობისაგან გვარდია, რომელიც იმოქმედებს დანიშნულებისამებრ, მთავრობასთან შეთანხმებით.

ზოგს მიაჩნია, რომ ოსებთან მოლაპარაკება ვერ ხერხდება, რადგან ცხინვალში რამდენიმე ბანდაა და მათ ერთმანეთთან არავითარი კოორდინაცია არა აქვთო. ეს არის ოსების კიდევ ერთი ფანდი, რათა დრო გაიყვანონ და მოლაპარაკება ჩაშალონ. თუ არა აქვთ ერთმანეთთან კოორდინაცია, მაშ როგორ ახერხებენ რამდენიმე ქართულ სოფელზე ერთდროულად თავდასხმას?

სამაჩაბლოს ცოდვა არც ერთ ქართველს არ მოასვენებს, თუ არ დავიხსენით თავი „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“-საგან.

ლ. ხაჭაპურიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

# საგაზაფხულო გაწვევა საქართველოში

როგორც ვიცით, საქართველოს რეგულარულ არმიაში აწვევისათვის სამზადისი დაიწყო. წლეულს ოცი ათასი ახალგაზრდა იქნება გაწვეული, ამათგან ათი ათასი გაზაფხულზე. სახელმწიფო საბჭოს სამხედრო საქმეთა კომისიის წინადადებით გასაწვევი ასაკი 18-25 წელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბჭომ იგი 23 წლამდე შეამცირა.

დიდი. პრობლემა წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ 18-23 წლის ახალგაზრდების რიცხვი რამდენჯერმე აღემატება საქართველოს რეგულარული არმიის ჯარისკაცთა რაოდენობას. ეს იმით არის განპირობებული, რომ ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში საბჭოთა ჯარში ქართველი ახალგაზრდები არ წასულან, ახლა კი მათ სამშობლოს წინაშე უნდა მოიხადონ ვალი. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ცნობით ასეთი დღეს 78 ათასი ყმაწვილია. ბუნებრივად იბადება პრობლემა, თუ რა პრინციპით უნდა მოხდეს ახალგაზრდების შერჩევა. ასეთ ვითარებაში ჩნდება ხელსაყრელი პირობები, რომ ახლადშექმნილ სამხედრო განყოფილებას გაუტეხონ სახელი ხელის მოთბობის მიზნით, როგორც ეს საბჭოთა სამხედრო კომისარიატებში ხდებოდა. თავდაცვის სამინისტროს მესვეურების თქმით, სამხედრო განყოფილებები ეროვნულ მოძრაობაში გამოწრთობილი კადრებით არის დაკომპლექტებული და მათი მხრიდან ყოველგვარი ანგარება გამორიცხულია. ერთნაირ პირობებში კი უპირატესობა ასაკით უფროს გასაწვევს მიენიჭება.

კიდევ ერთი სიახლე — ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკის ყოველგვარ სამხედრო ფორმირებას თავდაცვის სამინისტრო უხელმძღვანელებს.

ლევან ნათაძე



# ავტომატს ტყუილუბრალოდ ნუ ვაკაკანებთ!

ამ დაწყევლილი იარაღის კაკანი ისმის დღეს სამაჩაბლოში. ყაჩაღური თავდასხმების, ძარცვების, დივერსიების და სხვა დანაშაულობათა მეტი წილიც სწორედ ამ იარაღის გამოყენებით ხდება და მისი ავბედითი ხმა გვიფორიაქებს სულს დღისით და ღამით.

ამ რამდენიმე დღის წინ, გვიან საღამოს, კორპუსის მცხოვრებლები ფეხზე წამოგვაგდო ავტომატის ნახევარსაათიანმა ჯერმა ჩვენი საცხოვრებელი სახლის ეზოში. მკითხველი ადვილად მიმიხვდება, თუ რა შიშის ფეთებასაც დაგვმართებდა ყურის ძირში ატეხილი ეს ბათქა-ბუთქი დეკემბერ-იანვრისა და შემდგომი პერიოდის გადამტან ხალხს.

თურმე, ნუ იტყვით, არც ყაჩაღი დასხმია ვინმეს თავს და არც სხვა რამ შეიარაღებული შეტაკება მომხდარა. მიზეზი ამ ბათქა-ბუთქისა სრულიად უბრალო ყოფილა. ერთ მილიციელს, რომელიც ჩვენი კორპუსის მოპირდაპირე სახლში ცხოვრობს, ამისთანა ორიგინალური მეთოდით აღუნიშნია დაბადების დღე!

ღმერთმა დღეგრძელობა მისცეს იმ მილიციელს, მაგრამ ჩვენ კი გადაგვიტრიალა გული და ვინ იცის, აქ მცხოვრებთაგან ვინმე გულსუსტ ადამიანს იქნებ თავისიც დაემართა.

ამასაც რომ თავი გავანებოთ, ამ გაჭირვებულ დროში სა-[illegible]თარი პერსონის ამ ქვეყანაზე გაჩენის დღის აღსანიშნავად ასეთი შედლუხის გამართვა წესრიგის დამცველს ნამდვილად არ ეკადრება. მით უფრო, ამ ეშმაკის მიერ მოგონილი იარაღით.

ესეც რომ არ იყოს, თუ ასე თავზესაყრელად გვაქვს ამდენი ტყვია-წამალი, რომ დაბადების დღეებზე და სხვა გასართობ ღონისძიებებზე ვხარჯოთ, ავდგეთ ბატონო და იმ ჩვენს ძმებს ჩავუტანოთ სამაჩაბლოში, კბილებამდე შეიარაღებულ ოსებს რომ ებრძვიან და თითოეულ ტყვიას თვალისჩინივით უფრთხილდებიან.

ისე, საინტერესოა, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები თავიანთ მუშაკებს ამ იარაღს რომ აბარებენ, აღრიცხვას თუ აწარმოებენ, ვის რამდენი ტყვია მისცეს და ვინ რამდენი გახარჯა?

სამწუხაროდ, ეს არაა ერთი ცალკეული შემთხვევა. მსგავსი ფაქტები საკმაოზე მეტია და ვფიქრობთ, როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ასევე სხვა შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ავტომატის უმიზეზო კაკანი არ აფრთხობდეს მოსახლეობას და როცა ამის საჭიროება არ არის, მხარზე ავტომატგადებული ფორმიანი თუ უფორმო ადამიანები არ დააბიჯებდნენ შუაგულ ქალაქში.

სერგო ჯანაშია

# ჩვენი სამშობლო ეს არის

**ტარიელ კვანჭილაშვილი**

მშობლებსა და სამშობლოს არ ირჩევენ, ისინი ჩვენ გვეძლევა ისეთად, როგორნიც არიან. ამ საკითხში ადამიანს არჩევანის საშუალება არ გააჩნია, ამას ღმერთი განაგებს. ამ აზრს თუ ყველა იზიარებს, მაშინ ისიც ყველამ უნდა ირწმუნოს, რომ წუწუნი და ვიშვიში იმაზე, თუ რატომ არის მისი სამშობლო ასეთი, რატომ აქვს მას ამდენი ნაკლი, რატომ გვიჭირს ცხოვრება, რატომ ხდება ჩვენს ქვეყანაში ამდენი სისაძაგლე და მისთანები, სავსებით უნდა გამოვრიცხოთ. არა და, მკითხველი დამეთანხმება, რომ ბოლო ხანებში მოგვიმრავლდნენ ისეთი ქართველები, რომლებიც ათასი უბედურებით შეჭირვებულნი, განაქიქებენ საქართველოს, უკმაყოფილონი არიან ჩვენი მდგომარეობით და თითქმის წუხან იმაზე, რომ ისინი საქართველოში დაიბადნენ, ქართველები არიან. ასეთი განწყობილება არათუ უმართებულო და მიუღებელია, არამედ დამღუპველიც არის.

სასოწარკვეთილება და უიმედობა არავის მოუტანს სიკეთეს, იმედი კი დიდი ძალაა. გასაგებია, რომ ამდენმა ძმათა სისხლისღვრამ, ამდენმა უსამართლობამ, ძალადობამ, ძარცვა-გლეჯამ, იდეალების მსხვრევამ, ბევრმა ავმა საქმემ მოქანცა ქართველი ქალი თუ კაცი, მაგრამ სანამ სასოს წარვიკვეთდეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ ასეთი სიავენი არა მარტო დღევანდელ საქართველოს ჭირს, არამედ წარსულში უფრო უარესიც ყოფილა ჩვენშიც და სხვა ქვეყნებშიც. მთავარი ხომ მაინც „ჭირსა შიგან გამაგრებაა", ვაჟკაცობა ხომ დაბრკოლებათა და სიძნელეთა დაძლევაა, გამარჯვებისთვის ხომ სიმხნევე, მამაცობა და გარჯაა საჭირო! ვგრძნობ, რომ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას ვქადაგებთ, მაგრამ რომ საჭიროა? მაშ, იმ ჩვენს წინაპრებს რა უნდა ექნათ, როცა შემოსეული მტერი მათი ბავშვების კალოს ლეწავდა? როცა არაბი თუ სელჩუკი, მონღოლი თუ სპარსი, ათასი გადამთიელი არბევდა, სწვავდა, ანგრევდა, ანადგურებდა საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს, ციხე-სიმაგრეებსა და ეკლესია-მონასტრებს, როცა ჟლეტდა ქართველობას, მიერეკებოდა შორეულ ქვეყნებში და ჩვენში სტოვებდა ნასოფლარებსა და ნაქალაქარებს, მაშინდელ ქართველს განა ნაკლებ უჭირდა? მაგრამ ისინი გარჯითა და შრომით განაახლებდნენ, აშენებდნენ სოფლებსა და ქალაქებს, მთლიანად საქართველოს, ამრავლებდნენ შვილებს, ქვეყანას უზრდიდნენ მეომრებს, მეწვრეებს, გუთნის დედებს, ხუროებსა თუ კალატოზებს, სწავლულებსა თუ მოძღვრებს. ასე მოდიოდა საქართველო, მოდიოდა, ძლიერდებოდა, ქმნიდა, იმარჯვებდა, მარცხდებოდა, მაგრამ მაინც უძლებდა ქარტეხილებს და კვლავ მოდიოდა. ავად თუ კარგად, ათასი ნაჭრილობევითა თუ დაუეჟილობით დღემდე მოვიდა ჩვენი საფიცარი სამშობლო... განა რომელიმე ჩვენგანს ენა უნდა უბრუნდებოდეს და მას იწუნებდეს? განა მასში მხოლოდ საუგოს უნდა ხედავდეს? სად გაგონილა, რომ შვილმა მშობელს ზურგი შეაქციოს იმის გამო, რომ იგი დაუძლურდა, რომ მას გაუჭირდა?

რატომ იმას არა ვკითხულობთ, თუ თითოეულმა ჩვენგანმა რა მოიმოქმედა, რით გაისარჯა, რომ სნეული ქვეყნისათვის სალბუნი დაედო, ნაჭრილობევი მოეშუშებინა, იარები შეეხორცებინა, სულიერი ბზარი გაემთელებინა, ზნეობა აემაღლებინა, მხნედ შეეძახა და წასაქცევად გაწირული სამშობლო კვლავ გამართულად ფეხზე დაეყენებინა. სამშობლოს შველა სჭირდება და არა ნაკლის გამოქექვა. სხვა ქვეყნის შვილებმა როცა გვიყიყინეს, ქართველი ერი დაავადებულიაო, მაშინ ყველანი ყალყზე შევდექით და სწორედაც მოვიქეცით (ყველამ თავის სნეულ ერს მოუაროს), მაგრამ ახლა ჩვენვე იმდენს გავყვირით ქართველი ხალხის ნაკლოვანებებზე, მის ავადმყოფობაზე, მის დაბალ დონეზე, ათას მანკიერებაზე, რომ ლამის ჩვენი თავიც დავირწმუნოთ და სხვანიც დავარწმუნოთ, რომ მსოფლიოში ჩვენზე უარესი ხალხი არსად ბინადრობს. რა გამოდის? ჩვენს დასაკლავ დანას ჩვენვე ვაწვდით მტრებს. განა ეს გონივრულია? მე ნაკლის დამალვისა და ცრუ მედიდურობისაკენ არავის მოვუწოდებ, ყველაფერში ზომიერება და ობიექტურობა უნდა გვახასიათებდეს. მოდით, ასე გავიაზროთ: რატომ ვივიწყებთ ქართველი ხალხის მიერ გამოვლილ სახელოვან გზას თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მოწინავე სამეურნეო მოღვაწეობაში, კულტურის განვითარებაში, სიკეთის თესვაში და მრავალ სხვა საქებარ საქმეში? ნაკლი ვის არა ჰქონია, მაგრამ ცუდის ძახილით ხალხს საკუთარ სამშობლოზე გული ხომ არ უნდა ავაცრუებინოთ, სხვა ხალხისა და ქვეყნის შვილობა ხომ არ უნდა ვანატრებინოთ, მომავლის იმედი კი არ უნდა დავაკარგვინოთ, არამედ მშობელი ერისა და ქვეყნის ღირსებებითაც უნდა ავაფრთოვანოთ, რათა სამომავლოდ უფრო ამრავლოს ეს ღირსებები და, ამის გვერდით, ნაკლზეც უნდა ავუხილოთ თვალი, რათა იგი დავძლიოთ და აღარ გავიმეოროთ.

მაგალითისათვის ავიღოთ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ერის — ებრაელთა ცხოვრება. ამ ხალხმა, ერთი მხრივ, შექმნა ერთ-ერთი დიდი საოცრება — ბიბლია, ამ ხალხმა შვა მოსე, დავითი, სოლომონი, მომდევნო საუკუნეების მრავალი დიდი მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი, ბოლოს რამდენი საუკუნის გასვლის შემდეგ კვლავ შექმნა ძლიერი და დაწინაურებული ისრაელის სახელმწიფო და ყოველივე ამით ეს ხალხი დიდებისა და თაყვანისცემის ღირსია. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ იმავე ბიბლიის თანახმად, ამ ხალხში ხშირად იყო დასაგმობი მოქმედება, რის გამოც მათ ღმერთი სჯიდა. ახლა როგორ გვიბრძანებენ ქართველთა მაგინებელი ქართველები — ებრაელებმა თავიანთი შეცდომების გამო საკუთარი ხალხის გმობა იწყონ და ებრაელთა მომავალზე აღარ იზრუნონ? ისინი ასე არ ფიქრობენ და ეს მათი ბედნიერებაა. ისინი თავიანთ ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც ასე სჭაბნის ამხელა არაბულ გარემოცვას, კიდევ უფრო აძლიერებენ, თვალისჩინივით უფრთხილდებიან საკუთარ ისტორიას, რჯულს, კულტურას და მომავალზეც დიდი მონდომებით ზრუნავენ.

მაგალითების მოტანა სხვა ხალხების ისტორიიდან შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ ყველაზე ტიპიური შევახსენეთ მკითხველს.

ჩვენი სამშობლო ეს არის, საქართველო. ის ისეთია, როგორიც არის. მას ვერავინ გამოგვიცვლის, ვერავინ გაგვიუკეთესებს. ჩვენ უნდა გავისარჯოთ მის გასაუმჯობესებლად. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემნაირად არცთუ ცოტა ფიქრობს. მე მგონია, წუწუნისა და ვიშვიშის დრო, „რა გვეშველება, ვიღუპებით"-ის ძახილი უნდა დავამთავროთ და მუშაობას უნდა შევუდგეთ.

მინდა ერთი რამ გავიხსენო. ამ ათიოდე წლის წინათ გალაკტიონის არქივს რომ ვეცნობოდი, წავაწყდი ერთ საქაღალდეს, რომელშიც პოეტის ხელით შევსებული „ანკეტა" იდო. **1944** წელს ის აკადემიკოსად აირჩიეს და ის „ანკეტა" ამიტომ არის შევსებული. ანკეტაში არ არის კითხვა, თუ რომელია შენი სამშობლო. პოეტს კი „ქიმიური ფანქრით" მსხვილი ასოებით ჩაუწერია: „ჩემი სამშობლო საქართველოა!" ეს რომ წავიკითხე, თვალებს არ ვუჯერებდი. არ ეკითხებოდნენ, მაგრამ სადაც მცირე თავისუფალი ადგილი ნახა, იქ ჩაწერა ეს სიტყვები. გავირინდე და შევეცადე ჩავწვდომოდი პოეტის იმჟამინდელ, თუნდაც იმწუთიერ განცდას, ამ სიტყვებს რომ აგვირისტებდა... რა სიამაყით, რა ღირსების შეგნებით არის ათრთოლებული ეს სიტყვები! ახლა კი ზოგნი და ზოგნი ქართველების მხოლოდ ნაკლსა ხედავენ და წარა-მარა გაიძახიან: „ესა ვართ ქართველები?" „ვინა ვყოფილვართ ჩვენ, რა ხალხი ვყოფილვართ!" და ა.შ. შე კაი კაცო, დღევანდელი რომელიმე გარეწრის გამო საკუთარი ხალხი როგორ უნდა შეგძულდეს? ცოტნესა და თევდორეს მშობელ ხალხს, ქეთევანისა და ილიას სამშობლოს მხოლოდ ცუდი როგორ უნდა უკიჟინო?

შეხვდება ერთმანეთს ორი ნაცნობი და მაშინვე პოლიტიკაზე გააბამენ ლაპარაკს, ერთმანეთს არ აცლიან მოთქმას და მშობელი ხალხის განქიქებას, გაიძახიან: „ეს რა ხალხი ყოფილა ქართველი ხალხი, რამდენი გარეწარი გვყოლია, აღარ მინდა ქართველობა..." ბოდიში, მაგრამ შენს ნდობაზეა დამოკიდებული ეს საქმე? მაშ, გერმანელს რა ექნა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ ოცდაათიან წლებში ეს ერი აჰყვა ფაშისტურ ბოდვებს, მოექცა მასობრივი ფსიქოზის ტყვეობაში და გაუგონარი დანაშაული ჩაიდინა კაცობრიობის წინაშე? გერმანელები გონს მალე მოეგნენ და ერთდროულად დაიწყეს შელახული რეპუტაციისა და დანგრეული ქვეყნის შენება. დღეს კი როგორიც არის გერმანია, ეს მთელმა მსოფლიომ იცის. თუ გოეთესა და ბეთჰოვენის მშობელ ხალხს გადახდა ასეთი უბედურება, რატომ არ შეიძლებოდა ამ ბოლო წლებში ჩვენც რაღაც უბედურება შეგვმთხვეოდა? ეს ფაქტია, მწარე ფაქტი, მაგრამ გამოსავალი უნდა ვეძებოთ და წუწუნს არ გადავყვეთ.

თითოეულმა ქართველმა საკუთარ გულში ჩაიხედოს და თავისთვის მაინც იფიქროს იმაზე, თუ თვითონ რას აკეთებდა ან დღეს რას აკეთებს საქართველოსათვის. მე ვიცნობ ადამიანს, და ის ერთადერთი როდია, რომელიც ასეთი „პრინციპით" ცხოვრობს: პატიაშვილი მოვიდა რესპუბლიკის სათავეში და ის რამდენიმე დღეში მასთან გაჩნდა აუდიენციაზე. იქიდან გამოსული დადიოდა და ყველას უყვებოდა, თუ რა შესანიშნავი კაცია პატიაშვილი, თუ გვეშველება, ეხლა გვეშველებაო. გადადგა პატიაშვილი და მოვიდა გუმბარიძე. ამ ჩვენმა პერსონაჟმა პატიაშვილის ისეთი გინება დაიწყო, რომ ყურო, ნუ გაიგონებო. ამავე დროს მიიჭრა გუმბარიძესთან აუდიენციაზე და იქიდან დაბრუნებული ყველას უყვებოდა თუ რა ძვირფასი კაცია გუმბარიძე, საქართველოს ასეთი ხელმძღვანელი არასოდეს არ ჰყოლიაო. დაემხო გუმბარიძე და ამ პერსონაჟმა დაიწყო უშვერი სიტყვებით მისი ლანძღვა. მერე მიიჭრა გამსახურდიასთან კვლავ აუდიენციაზე, იქიდან წამოვიდა, დაიწყო მისი ქება-დიდება. დაემხო გამსახურდია და ახლა ეს პერსონაჟი მისი გინების მეტს არაფერს აკეთებს. ჯერ არ ვიცი, ეს პერსონაჟი იყო თუ არა აუდიენციაზე შევარდნაძესთან, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ამჟამად იგი შევარდნაძის ქებაშია... საკითხავია, რატომ დარბოდა ეს პერსონაჟი ყველა „პირველთან", რას გამოელოდა მათგან, ჯერ რატომ აქებდა ან მერე რატომ აგინებდა ყოველ მათგანს? ამის მიხვედრა ძნელი არ არის. ეს კაცი კარიერისთვის დაწანწალებდა და სანამ წყალობას მოელოდა, „პირველს" აქებდა, როგორც კი იმედი გაუცრუვდებოდა, წაქცეულს აგინებდა და აგინებდა, რათა ახალი „პირველისთვის" მოეგო გული და მას გამორჩენოდა რამეს. ასე მეორდებოდა ყოველთვის. ასეთი კაცუნების მომრავლება ჩვენი უბედურების ერთ-ერთი მიზეზი. საკითხავია, როგორ იბადებიან ასეთი კაცუნები? რა გარემოებანი უწყობს ხელს მათს მომრავლებას? რა და, სახელმწიფო წყობის ისეთი სისტემა, როცა ყველას ბედი „პირველზე" არის დამოკიდებული. ამიტომ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ არა მარტო ზემოთ მითითებულ „პერსონაჟებს", არამედ ისეთ სისტემასაც, რომელიც წარმოშობს მათ. უნდა დავამყაროთ ისეთი სისტემა, როცა კანონი, საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი ფორმები გამორიცხავს კაცუნათა პარპაშს. მე რომ მკითხონ, ავტომატიანი ბანდიტების არსებობა შედარებით ნაკლები უბედურებაა, ვიდრე დასახელებული კაცუნასი. ასეთნი ერის ბედზე მზრუნველთა მანტიაში გამოეწყობიან, გამოდიან მიმზიდველი ლოზუნგებით, ხალხის ფართო მასებს ხიბლავენ კიდეც და თავიანთ ბნელ საქმეებს კეთილშობილი ადამიანის ნიღბით აჰახრაკებენ. ასეთნი საშიშნი არიან. მათი გამოაშკარავება და გაუვნებელყოფა საშური საქმეა. ასეთები სულით მათხოვრები არიან, ქონებრივად ისინი ყოველთვის მაძღრად გრძნობენ თავს და ჩვენ მივადექით ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. სულიერი მათხოვრობის სენისაგან უნდა განვიკურნოთ. ჩვენი აღორძინება სწორედ ამით უნდა დავიწყოთ.

ჩვენ რომ სასო წარვიკვეთოთ და გადავყვეთ იმაზე წუწუნს, ეს რა ხალხი ვყოფილვართო, ამით დავიღუპებით და ამოვიძირკვებით, ერად აღარ ვიარსებებთ. ჩვენი ხალხი ისეთია, როგორიც ის არის და ეს რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით. თუ რამე შეგიძლია, მკლავები დაიკაპიწე და შენს მშობელ ხალხს მიეხმარე, გაისარჯე, იმოქმედე, რათა გავუკეთესდეთ. დავით გურამიშვილის მიერ დახატულ მე-18 საუკუნის საქართველოს ცხოვრებას რომ უკვირდები, თმები ყალყზე გიდგება და „ტანში გზარავს", მაგრამ ხომ გამოვედით იმ სიდუხჭირიდან და თავი ხომ მაინც გადავირჩინეთ. ილია რომ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, საქართველო საერთოდ აღარ არსებობდა არა მარტო პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად, არამედ ეროვნული შეგნებითაც, მაგრამ ილიამ წუწუნი კი არ დაიწყო, არამედ ძლიერი მოქმედება და მთელი საქართველო ერთი რწმენით, ერთიანი ეროვნული შეგნებით გაამთლიანა. ეს დიდი მაგალითია არა მარტო დღევანდელი მწერლებისათვის, არამედ ყველა ჩვენგანისათვისაც. „მოძრაობა და მოძრაობა" ილიას ლოზუნგია, რომელიც დღეს შეიძლება სახეშეუცვლელად ასე ითქვას: „მოქმედება და მოქმედება", „შენება და შენება". ჩვენი სადღეისო დევიზი ეს უნდა იყოს.

მკითხველთა ნაწილმა მაინც იცის, რომ მე მწერლობასთან რაღაც კავშირში ვარ. ამიტომ არ დავმალავ ჩემს აზრს, რომ დღეს ჩვენი მწერლობა ერთგვარ დაბნეულობას განიცდის. იმის ნაცვლად, რომ გათიშული და დახლეჩილი ერი გააერთიანოს, სულიერად აამაღლოს და ერთ ძალად აქციოს, თვითონ მწერლობა გაითიშა და გაიხლიჩა. მწერალთა ბოლო ყრილობაზე ეს სავალალო ფაქტი მკაფიოდ გამოჩნდა. საქართველოსთვის გათიშულობა და დაქუცმაცება კი არა, გაერთიანებაა საჭირო და ამიტომ ქართულმა მწერლობამ ეს იდეა ყველაფერზე მაღლა უნდა დააყენოს. ამისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, თვითონ მწერლები დადგნენ ასეთ შეგნებაზე და მერე იმისათვის ილვაწონ, რომ მთელი საქართველო გააერთიანონ და აღორძინონ. ამის გარეშე მწერლობა დაკარგავს ერის სულიერი წინამძღოლის ფუნქციას და გაუფასურდება მწერლის როლი.

ერთი რამ კიდევ. თითქოს ასრულდა ქართველთა მრავალი თაობის ოცნება და ნატვრა, საქართველო განთავისუფლდა იმპერიის მონობისაგან, დღეს ჩვენი თავი თითქოს ჩვენვე გვეკუთვნის, ავად თუ კარგად უკვე თავისუფალნი ვართ, მაგრამ ეს უზარმაზარი ფაქტი თითქოს არც მომხდარიყოს, არ შევიმჩნიეთ, არ დავიგემოვნეთ, ამის გამო სიხარული არ განგვიცდია. სხვა დროს და სხვა ქვეყნებში ზარზეიმით აღნიშნავდნენ, საყოველთაო დღესასწაულები გაიმართებოდა, ჩვენ კი, ვითომც არაფერი... ერთმანეთთან ანგარიშსწორებას ვუნდებით. საფიქრებელია, რომ ჩვენს ასეთ საქციელს აქვს საფუძველი, მაგრამ გამართლება კი არ გააჩნია. ზოგი იმასაც გაიძახის, რომ რა თავში ვიხლი ასეთ თავისუფლებას, როცა ჩემს შვილებს ხორცი და კარაქი ენატრებათ, შაქარსა და ყველს თვალითაც ვერ ხედავენო. მერედა ასეთი „ფილოსოფია" განა გამართლებულია? ასეთ თანამემამულეებს უნდა შევახსენოთ გამხდარი მგლისა და გასუქებული ძაღლის ამბავი, რათა კარგად გაიაზრონ, რომ გამხდარი მგლის თავისუფლება გაცილებით ძვირფასია, ვიდრე პატრონის საბელზე გამობმული ძაღლის გასუქება. ჩვენი ზოგი თანამემამულე იმასაც გაიძახის, რომ ევროპის ქვეყნები მდიდრები არიან, მათი მოქალაქეები ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიანო. იმას კი ივიწყებდნენ, რომ თავის დროზე იმ ქვეყნებმაც და მათმა ხალხებმაც დიდი გაჭირვება და ვაება გამოიარეს და მერე თავდადებული შრომით, მოიპოვეს ცხოვრების ის დონე, რაც ახლა ასე სანიმუშოა. ჩემი ღრმა რწმენით საჭიროა ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით მეტი პროპაგანდა ეწეოდეს საქართველოში მომხდარ ისტორიულ ძვრებს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეკონომიკის სისტემაში დაწყებულ პრივატიზაციას, რომლის ბოლომდე და დაჩქარებული მიყვანა ჩვენი ცხოვრების დონეს არა თუ მიუახლოებს, არამედ კიდევაც აჯობებს ევროპის ქვეყნების დონეებს. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებამ ჩვენს გულებში დიდი იმედი უნდა დააბუდოს და ამ იმედით უნდა შევუდგეთ შრომას. ხოლო იმედი და თავისუფალი შრომა სასწაულებს მოახდენს.

მაგრამ ამას რომ ვამბობთ, მეორე ამბავიც უნდა გავითვალისწინოთ. საკითხი ასე დგას: ვართ კი ნამდვილად დამოუკიდებელნი და თავისუფალნი, რომ ზარზეიმით ვიზეიმოთ? ეს კითხვა არც უბრალოა და არც უსაფუძვლო. სავსებით ცხადია, რომ სანამ ქვეყანაში სხვა ქვეყნის ჯარები გვიყენია, სანამ საქართველოს არ გააჩნია საკუთარი ფული და სხვას უნდა ეხვეწოს — შენი ფული გამომიგზავნე, რათა მოქალაქეებს კუთვნილი მცირე ხელფასი მაინც მივცე, რათა შიმშილით არ გაწყდნენო, მანამდე, ქვეყანა არც თავისუფალია და არც დამოუკიდებელი. მაშასადამე, საქართველო ჯერაც სხვაზეა დამოკიდებული, სხვას უნდა ეფეროს და ეღოღიავოს, სხვას უნდა უყუროს თვალებში და თავისი მოქმედება ისე უნდა წარმართოს, რომ იმ სხვას არ აწყენინოს, ის სხვა არ განარისხოს, თორემ ვაი შენს დღეს — აღარც ფულს მოგცემს და ჯარებსაც რას უბრძანებს, ღმერთმაც არ იცის... ასეთ ვითარებაში კი რა გვეზეიმება? მე სულაც არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ყველაფერს აკეთებს სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოახლოებისათვის. ამაზე ამჯერად სიტყვას არ განვავრცობ. ახლა კი იმას ვიტყვი, რომ თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე საქართველომ საგრძნობი ნაბიჯები შარშანვე გადადგა და ახლა საჭიროა გაბედულად წინსვლა. ამისათვის საჭიროა დავძლიოთ ის წინააღმდეგობანი და დაპირისპირებები, რაც ჩვენს ქვეყანას ასუსტებს და სავალალო მდგომარეობაში ამყოფებს.

პრობლემები, სამწუხაროდ, მართლაც თავზე საყრელი გვაქვს მაგრამ კიდევ მინდა გავიმეორო, რომ ჩვენი სამშობლო ეს არის. ის ისეთია, როგორიც არის. ჩვენი ხალხი ეს არის. ის ისეთია, როგორიც არის. ახლა ის უნდა ვიკითხოთ, თითოეული ჩვენგანი როგორ და რას აკეთებს სამშობლოსა და მშობელი ხალხის გადარჩენისა და აღორძინებისათვის. ეს კითხვა თითოეულმა ჩვენგანმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს და მიაგნოს სწორ პასუხს. მერე კი საქმეს მოვკიდოთ ხელი, ვიშრომოთ, რათა გავძლოთ და ავღორძინდეთ.

ჩვენი სამშობლო ეს არის, საქართველო. ის ისეთია, როგორიც არის. ჩვენ მისი შვილები ვართ, ხოლო დავრდომილ მშობელს შვილმა ზურგი კი არ უნდა შეაქციოს, არამედ მოუაროს, რათა მოაღონიეროს და ფეხზე დააყენოს. დღეს ჩვენს სამშობლოს უჭირს და მას ხელი ყველამ უნდა შევაშველოთ.

**26.4.92 წ.**

# ცხენს მერაფერი დაარქვეს, შინაბერს წააყარაო

ხალხური სიბრძნის მკაფიო გამოხატვის საშუალება ანდაზებიცაა. საოცარია ჩვენი ანდაზები, საუკუნეთა სიღრმეებიდან ჩვენამდე მოსულნი, ისეთი მრავალფეროვნებითა და თემატიკის სიუხვით გამოირჩევიან, რომ თითქმის ვერ მოიძებნა მოვლენა, სიტუაცია, პიროვნების ხასიათი თუ საყოფაცხოვრებო შემთხვევა, რომელზედაც არ მოგვეპოვებოდეს ლაკონური, სხარტი და მკაფიო ანდაზა.

სწორედ ერთი ასეთი ანდაზა გამახსენდა ჩვენი დღევანდელი ყოფის გამო.

გამახსენდა იმ უაზრო, ყოვლად გაუმართლებელ დივერსიებთან დაკავშირებით, რასაც ჩვენში აქვს ადგილი. თუ ოპოზიციის, ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერთა მიზანი დღევანდელ ხელისუფლებასთან ბრძოლაა, რა შუაშია ამ შემთხვევაში ხიდების აფეთქება, ლიანდაგების აყრა, სკოლებისა და საავადმყოფოების გადაბუგვა, მოსახლეობის შიმშილის საშიშროების წინაშე დაყენება?

„ზოგს მღვდელი უყვარს, ზოგს მისი ცოლიო". — ჰოდა, გიყვარდეთ ვინც გსურთ, ამაში საძრახისი არაფერია. მე ის მაწუხებს, რომ ჭეშმარიტი სიყვარული კეთილ საქმეთა საკეთებლად უნდა მოგვიწოდებდეს. იმას კი, რასაც ყოფილი ხელისუფლების მოყვარულნი სჩადიან, სიკეთესთან საერთო არაფერი აქვს.

ყოფილი ხელისუფლების სიყვარულთან ერთად, თუ დღევანდელ ხელისუფლებასთან ბრძოლის სურვილიც გაქვთ, ებრძოლეთ, ბატონო, ამ ხელისუფლებას, კარგად მოგეხსენებათ სადაც იმყოფება იგი, გამოცდილებაც საკმაოდ „დაგროვდა" დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების სახით.

მაგრამ უდანაშაულო მოსახლეობის ტერორიზება, მისი ისედაც გაჭირვებული ყოფის გამწარება, შიმშილის საშიშროების ზღვრამდე მიყვანა და საერთოდ ქვეყნის დაქცევა ვერაფერი სიყვარულია და არც ვაჟკაცობაა- უფრო მეტიც, ერის ღალატი და მტრობაა.

ხელისუფლება, კანონიერიც და უკანონოც, ყველა დროებითია, მარადიული კი მხოლოდ სამშობლოა, დივერსიებით თქვენ ხელისუფლებას კი არა, სამშობლოს ებრძვით.

**ნუგზარ მხეიძე**

მოლა ნასრედინთან თოკის სათხოვნელად მეზობელი მივიდა. ნასრედინმა უარი უთხრა, თოკზე გასაშრობად ფქვილი მაქვს გაფენილიო.

მეზობელი გაოცდა, თოკზე ფქვილის გაფენა ვის გაუგიაო.

როცა არ გინდა, ვინმეს თოკი ათხოვო, ზედ ფქვილის გაფენასაც მოახერხებო! — აუხსნა ნასრედინმა.

მართლაც, რას არ გააკეთებინებს კაცს რაღაცის არგაკეთების სურვილი! კიდევ უფრო ადვილია თვალის დახუჭვა მაშინ, როცა არ გინდა შენთვის არასასურველი რამ დაინახო.

ხშირად ასეთი „ვერ დამნახავი" მარტოდენ თვალის დახუჭვით არ კმაყოფილდება და „არ დასანახი" ამბის, ფაქტის მნიშვნელობის დამცირებას, გაბიაბრუებას ეწევა.

**განსაკუთრებით სამწუხაროა, როცა ეს საქვეყნო საქმის, მთელი ხალხისათვის სასიკეთო მოვლენის, ფაქტის მიმართ ხდება.**

ბანალური ჭეშმარიტება უნდა გავიმეორო: ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის ერთი მთავარი ნიშანი მის საერთაშორისო ცნობა-აღიარებაში, მსოფლიო თანამეგობრობაში შესვლაში, დიპლომატიურ კავშირურთიერთობათა გაბმაში მდგომარეობს.

საქართველო დღეს ამგვარი ცნობა-აღიარების სტადიაში იმყოფება. მისი დამოუკიდებლობა უკვე აღიარა ორმოცდათვრამეტმა სახელმწიფომ, რამდენიმემ კი სრული დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, გახსნა რა საელჩოები თბილისში.

ერთი სიტყვით, ქვეყნისათვის, ხალხისათვის სასარგებლო პროცესი მიმდინარეობს, იმგვარი, „წესით" ყველას გულს რომ უნდა უხაროდეს, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებისა (აქამდე ხომ ყველა ამაზე ოცნებობდა!), **ყოველ შემთხვევაში, თვალს მაინც არ უნდა უხუჭავდეს მის მნიშვნელობას, არ აბიაბრუებდეს.**

# სადა ხარ, ლოგიკავ, სადა?!

ფელიქს კოჭიაშვილი

მაგრამ, ნასრედინის არ იყოს, რას არ გააკეთებინებს კაცს „მეზობლის სიყვარული".

გაზეთ „კაბადონის" 7 მაისის ნომერში დაბეჭდილ ბატონ მიხეილ ჩაჩაუას წერილში „მწარე სიმართლე", მთელი რიგი მართალი სტრიქონები, მწარე სიმართლეა, მაგრამ, აი, ავტორი ეხება გერმანიის მიერ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ფაქტს და რატომღაც „თოკზე ფქვილის გაფენას" იწყებს.

„... რა გეზეიმებათ, ბატონებო? — მიმართავს ბ-ნი მიხეილი ქართველთა იმ ნაწილს, „გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გამო საზეიმო განწყობილებას რომ მოუცავს" — **განა გერმანიასთან ადრეც არ გვქონდა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა? მერედა, მარტო გერმანიასთან? განა თავად რუსეთმა არ გვაღიარა და დიპლომატიური ურთიერთობაც არ დაამყარა ჩვენთან 72 წლის წინათ? მაგრამ „რუსული დათვისათვის" ამას ხელი არ შეუშლია — დაადო თავი და, თვითონ ხომ დაარღვია პირობა, არც გერმანიისთვის უკითხავს, არც საფრანგეთისთვის (სხვათა შორის, არც ამერიკისთვის), ისე შემობაჯბაჯდა საქართველოში და მის მიწაზე ტორის დადებით ვეტო დაადო საქართველოს დამოუკიდებლობას".**

თავი დავანებოთ იმას, რომ მაინცდამაინც დიდი „საზეიმო განწყობილების" ფრქვევა არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ტაშ-ფანდური და ცეკვა-თამაში არ გაჩაღებულა მთავრობის სახლთან რომ მოეწყო „ევროპის უდიდესი სახელმწიფოს, უკრაინის" მიერ საქართველოს ცნობის გამო. რაც მთავარია, ამ „ლოგიკით" — სულ ერთია, „რუსულ დათვს" მაინც შეუძლია შემობაჯბაჯდეს საქართველოში და ტორის დადებით ვეტო დაადოს მის დამოუკიდებლობასო — თავიდანვე **განწირული, ზედმეტი ყოფილა ეროვნული მოძრაობა, ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, საერთოდ არაფერს აზრი არ ჰქონია, რამეთუ საქართველო თავისი სამხედრო ძალით კაი ხანს ვერ შესძლებს წინ აღუდგეს „რუსული დათვის ტორს".**

და ეს „ტორის დადება" რომ არ მოხდეს დაუსჯელად, სხვათა შორის, ამისთვისაც არის კარგი (თუნდაც საზეიმოც!) გერმანიასთან და სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, კიდევ უფრო მეტი ზრუნვა, მცდელობა ამ მიმართულებით, მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობის ოჯახში შესვლა, დიდ პოლიტიკაში ჩართვა (გერმანიასთან და სხვა დიდ სახელმწიფოებთან ახლო, სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების გზით,— თუ მოხერხდა რასაკვირველია).

გულზე ხელის დაკრეფა კი, მაინც არაფერი გვეშველება, „რუსულმა დათვმა ტორის დადება" თუ მოინდომაო, რბილად რომ ვთქვათ, სწორი პოზიცია არ უნდა იყოს. არადა, ფაქტობრივად, სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს ბატონი მიხეილი: **„გერმანიამ გვცნო და დიპლომატიური ურთიერთობაც დაამყარა ჩვენთან, ხოლო რუსეთმა ჩვენი ცნობაც არ იკადრა — ამან ხომ უნდა დაგვაფიქროს სერიოზულად? იმანაც ხომ უნდა გაგვიჩინოს საფიქრალი, რუსეთზე უწინ გერმანიის მიერ ჩვენი ცნობაც და ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაც რუსეთს რომ სიხარულს არ მოჰგვრიდა? ჰოდა, იქნებ სჯობდა ცოტახანს თავი შეეკავებინა დალოცვილ გერმანიას ჩვენთან ასეთი ახლო ურთიერთობის დამყარებისაგან, მანამდე, ვიდრე რუსეთი გვცნობდა ფაქტობრივად და იურიდიულადაც".**

გამოდის, გერმანიამ (და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, ვატიკანმა, ავსტრიამ, ჩეხეთ-სლოვაკეთმა, ნიდერლანდებმა, საბერძნეთმა და სხვებმა) როგორც კი საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისათვის მზადყოფნა გამოხატეს, ჩვენ სერიოზულად უნდა დავფიქრებულიყავით და უარი გვეტკიცა, არა, თქვენი ჭირიმე, ჩვენს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, ჩვენი ახლო ურთიერთობა რუსეთს სიხარულს არ მოჰგვრის და თუ ღმერთი გწამთ, თავი დაგვანებეთ, არც თქვენი აღიარება გვინდა, არც დიპლომატიური, არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური და არც [illegible] დახმარება მანამდე, ვიდრე რუსეთი არ გვცნობს ფაქტობრივად და იურიდიულად-ო.

ამ „ლოგიკით", რუსეთს ეწყინებაო (არადა, მართლაც ეწყინა), რასაკვირველია, **ასევე უარი უნდა გვეთქვა ჰელსინკის პროცესის წევრობაზე, არ უნდა შევსულიყავით სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში, არ უნდა შევიდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, „ნატო"-ში და ა.შ.**

**და საერთოდ, გავწყვიტოთ მგლის შიშით ცხვარი! ანუ რუსეთის განაწყენების შიშით უარი ვთქვათ მსოფლიოსთან ურთიერთობაზე, ხელი ავიღოთ დამოუკიდებლობაზე და ვიყოთ ჩვენთვის, ხოლო თუ მთლად რუსეთს დავუბრუნდებით, გახარებული „რუსული დათვი" იმ ტორს ნაზადაც კი გადაგვისვამს თავზე და ვიქნებით ბედნიერად!..**

* * *

უნდა ითქვას, რომ ბატონი მიხეილ ჩაჩუა ზემოაღნიშნულ „ლოგიკაში", მარტო არ არის. მრავალი ფენს მსგავსად თოკზე ფქვილს. უფრო მეტიც, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი რომ გადადგა პოსტიდან, ზოგიერთ ჩვენს გაზეთში თუ მიტინგებზე სიხარულს ვერ ფარავდნენ ამ ფაქტის გამო, „იმედს" გამოსთქვამდნენ, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გამო გადააყენეს გენშერი, ნახავთ, თუ არ გაწყვიტოს გერმანიამ ეს ურთიერთობაო!..

**რა გვიხარია, ბატონებო?!**

დავუშვათ და, მართლაც რომ ახდეს ეს „იმედი", რუსეთს კი ნამვილად არ ეწყინება, პირიქით, ძალიანაც გაეხარდება, მაგრამ ჩვენ?!

დავფიქრდეთ, მტერს რომ უხარია, რატომ უნდა გვახარებდეს იგივე ფაქტი და თან, მას საქართველოს სიყვარულით ვხსნიდეთ?

სწორედ ამაზედ ითქმის, **სადა ხარ, ლოგიკავ, სადა?!**

# საქართველო: სწორება დასავლეთზე

ნათქვამია, „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნუცა ძველსა მეგობარსაო". ბატონ გენშერის ამასწინანდელმა ვიზიტმა დაამტკიცა, რომ ედუარდ შევარდნაძის ძველი მეგობრები კვლავაც ასეთებად რჩებიან, ხოლო რაც შეეხება ძველ გზას — აქ საქმე ცოტა სხვაგვარადაა. პრობლემა იმაშია, რომ საქართველო მხოლოდ ახლა იწყებს თავისი საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად ფორმირებას და გზა მხოლოდ ახლაა გასაკვალავი.

ის, თუ როგორი იქნება ჩვენი ქვეყნის საგარეო დოქტრინა, ჯერჯერობით უცნობია და ამას მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს, თუმცა ზოგიერთი პრიორიტეტული მიმართულებისა და პრინციპის გამოყოფა უკვე ახლა შეიძლება.

პირველი და ძირითადი: საქართველო ორიენტაციას დასავლეთზე, კერძოდ გერმანიაზე იღებს. ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება ბ-ნ შევარდნაძის ბოლოდროინდელი გამონათქვამებიდან და აპრილში ბ-ნ გენშერის ვიზიტიდან. დიახ, შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი რანგის პოლიტიკური მოღვაწეებიდან საქართველოს პირველი სწორედ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, სხვა შესაძლო ვარიანტებთან ერთად, საქართველოს დღეს განვითარების გერმანულ მოდელსაც არგებს. ამას მრავალი მიზეზი აქვს. კერძოდ ის, რომ სახეზეა სრულიად დანგრეულ-გაპარტახებული გერმანიის საკმაოდ მოკლე ისტორიულ პერიოდში ერთერთ წამყვან ქვეყნად გადაქცევის ნათელი მაგალითი; ის, რომ გერმანიის ტერიტორიული მოწყობა (ფედერალურ მიწებად დაყოფა) წააგავს საქართველოს ტრადიციულ კუთხურ შედგენილობას (ქართლი, კახეთი, სამეგრელო, გურია ...); ის, რომ მეოცე საუკუნეში ამ ორივე ქვეყნის ხალხებმა იგემეს ნაციონალიზმის მწარე გაკვეთილები (თუმცა სხვადასხვა მასშტაბითა და ხანგრძლივობით) და ბოლოს, ის, რომ ამ ორ ქვეყანას შორის 1918-1921 წლებში არსებობდა დიდი ურთიერთსიმპატია. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს ცნობილი „მარშალის გეგმის" ქართული ვარიანტის შექმნასა და ცხოვრებაში გატარებას. შეგახსენებთ, რომ „მარშალის გეგმა" იყო ეკონომიკური და მატერიალური დახმარების ის პროგრამა, რომელიც პირველ რიგში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს თავად გერმანიის ფეხზე დასაყენებლად ოთხი ათეული წლის წინ.




სამისოდ, როგორც ეს თავად გვაუწყა, არსებობს ზეპირი თანხმობა ბ-ნ შევარდნაძესა და დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ლიდერებს შორის. ისინი მზად არიან გამოყონ სუბსიდიები, კრედიტები, მოამზადონ ქართველი სპეციალისტები, მოკლედ, გაგვიწიონ ყოველმხრივი დახმარება ეკონომიკის ასაღორძინებლად და დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად.

ყველაზე მეტად კი ამ მზადყოფნას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ავლენს. ამაზე მეტყველებენ ბ-ნ გენშერის ვიზიტის შედეგები — მისი ქვეყანა საქართველოს გამოუყოფს 10 მილიონ მარკას, გაუწევს (და ეს პროცესი, როგორც იცით, უკვე დაწყებულია) ჰუმანიტარულ დახმარებას, დაუნიშნავს სტიპენდიებს ქართველ სტუდენტებს და ა.შ. დიდად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გერმანია დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და ელჩის დანიშვნის საქმეშიც პირველი იყო.

მაგრამ არ უნდა შეიქმნას იმის ილუზია, თითქოს ეს კეთილი ნაბიჯები ცალმხრივი იყოს და საქართველოს არაფრისთვის ავალდებულებდეს. დიდ პოლიტიკაში უმიზნოდ არაფერი ხდება. მაშ, რა ამოძრავებს გერმანიასა და საერთოდ, დასავლეთს, რათა დაეხმაროს ჩვენს ქვეყანას? ნუთუ პიროვნული ფაქტორი — ედუარდ შევარდნაძის პოპულარობა და ავტორიტეტი უცხოეთში — თამაშობს გადამწყვეტ როლს? რა თქმა უნდა, არც უამისობაა, მაგრამ დასავლეთისთვის ძირითადი ფაქტორი მაინც თავისი გავლენის სფეროების გაფართოებაა. ეს სიტყვათშეხამება ვინმეს, შეიძლება, ცუდადაც მოხვდეს ყურში, მაგრამ გავლენის სფერო პოლიტიკაში სრულებითაც არ ნიშნავს დიდის მიერ პატარის დაკაბალებასა და დაპყრობას. იგი ქვეყნის ორიენტაციის, მისი განვითარების ძირითადი მიმართულების აღმნიშვნელია.

რას ნიშნავს დასავლეთის გავლენის სფეროში მოქცევა საქართველოსთვის? ეს უპირველესად, იმის პირობაა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტული იქნება ზოგადსაკაცობრიო იდეალების მიმდევრობა, საერთოევროპული სახლის შექმნის პროცესში თავისი წვლილის შეტანა (რამდენადაც ამის საშუალებას მოგვცემს ჩვენი ჯიბე), საბაზრო ეკონომიკისა და ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის დაწყება. ეს ის ძირითადი მოთხოვნებია, რომლებსაც დასავლეთი არა მარტო საქართველოს, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსაც უყენებს. ჩვენის მხრივ, ვფიქრობთ, მათ სამისო მტკიცე გარანტია მიიღეს — ბ-ნ გენშერის ვიზიტის პერიოდში საქართველო შეუერთდა რიგ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებებს — კერძოდ შეთანხმებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ



ვიმედოვნებთ, რომ ეს გაბა საერთაშორისო ინტეგრაც პროცესებში საქართველოს ჩართვის პირველი ეტაპი და ჩვენი ქვეყანა მტკიცედ განაგრძობს დასავლეთისაკენ აღებული კურსით სვლას

თენგიზ გოგოტიშვილი

# ეროვნული პრობლემები მეცნიერული მონაცემების გარეშე ვერ გადაწყდება

შოთა ნადირაშვილი

ეროვნული საკითხები დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. როგორც ყველ მრავალეროვან ქვეყანაში, ჩვენშიც არიან როგორც უკიდურესი ნაციონალისტური, ისე ანტიეროვნული ორიენტაციის მქონე ადამიანები. ჩვენმა ქვეყანამ თავი დააღწია ასიმილაციის იმ საშიშ მდგომარეობას, როცა ქვეყანა კარგავს თავის ეროვნულ სახეს, ითქვიფება სხვა ერში. მაგრამ ბოლო ხანებში, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მიმართ, რამაც ერთ დროს ჩვენი ხალხის დიდი სულიერი აღზევება გამოიწვია, ერთგვარი ნიჰილიზმი შეიმჩნევა. იმასაც გაიგონებთ, რომ ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ ეროვნული ენერგიის უაზრო ხარჯვა გამოიწვია, მას ბევრი არაფერი მოუტანია ჩვენი ხალხისათვის. იმ რესპუბლიკებმა, სადაც თითქმის არავითარი ეროვნული მოძრაობა არ იყო, დამოუკიდებლობა მიიღო. ისინი კონფლიქტების და მსხვერპლის გარეშე მშვიდობიანი გზით გადავიდნენ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე. ერთი შეხედვით თითქოს ძნელიც არის სერიოზული პასუხის გაცემა ამ საყვედურის მიმართ. საბჭოთა იმპერიის ნგრევას მართლაც მოჰყვა ნაციონალიზმის ძლიერი ტალღა, რამაც სისხლისღვრა და უბედურება მოუტანა ხალხს. უკვე თანდათან ნათელი ხდება, რომ ეროვნული საკითხები ჰუმანური და მეცნიერული მიდგომის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

საბჭოთა იდეოლოგია ორმაგ მიდგომას იჩენდა ეროვნული პრობლემების მიმართ. საბჭოთა ხალხების ურთიერთობაში ოფიციალურად იგი ინტერნაციონალიზმს ქადაგებდა, ამავე დროს მათ მიმართ ასიმილაციისა და რუსიფიკაციის პოლიტიკას ეწეოდა. რუსეთის იმპერია საზღვარგარეთ სხვა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მხარს უჭერდა. ამ გზით იგი ცდილობდა თავისი გავლენის სფეროს გაფართოებას. ყოველივე ამის გამო, საბჭოთა მეცნიერებაში ეროვნული პრობლემების მიმართ გარკვეული ერთიანი თვალსაზრისი არ არსებობდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ დღეისათვის არც საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებობს ნათელი დამოკიდებულება ეროვნული პრობლემებისადმი. დიდი ქვეყნები არსებითად დაინტერესებული არ არიან ამ საკითხებით, მათ ეს ჯერჯერობით არც აწუხებთ. მცირერიცხოვანი ერების ბრძოლა თავის დამოუკიდებლობისათვის, გავლენის სფეროების მქონე დიდი ქვეყნების მიერ ხშირად განიხილება, როგორც სეპარატისტული, მსოფლიოს ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა. ასეთი თვალსაზრისი იმპერიებში შემუშავდა და იგი მცირერიცხოვანი ერების ასიმილაციისაკენ იყო მიმართული. მათი უკუგდება, ერის ჭეშმარიტი თეორიის ჩამოყალიბება და ერების დაცვის ღონისძიებათა გამომუშავება მცირერიცხოვანი ერების, მათ მეცნიერთა ამოცანაა, ხოლო ამ ღონისძიებათა გატარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა იკისროს.

ჩვენში სამწუხაროდ ამ მიმართულებით საკმარისი მუშაობა არ მიმდინარეობს.

ერთ-ერთი წერილი, რომელშიც პრინციპულად არის განხილული ჩვენი ეროვნულობის და დემოკრატიულობის საკითხები, ბატონ რამაზ კლიმიაშვილის სტატიაა. მასში გამოხატულია დემოკრატების პოზიცია. იგი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე დაიბეჭდა (01.11.91.) ამ წერილის დედააზრი ის არის, რომ ნაციონალიზმი ერის დამღუპველი იდეოლოგიაა. ამით ავადდება ბევრი კოლონიური ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. ნაციონალიზმი დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი ერების „საყმაწვილო სენია“, რასაც მრავალი „ჩვილი“ ქვეყანა შეიძლება შეეწიროს. ნორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება მხოლოდ დემოკრატიის პირობებში შეიძლება.

შეუძლებელია არ დაეთანხმოთ ბატონ რამაზ კლიმიაშვილს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენებისას უნდა ვიაროთ დემოკრატიისაკენ და უკუვაგდოთ ნაციონალიზმის იდეოლოგია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტის შემდეგ არ ვიცით რა ვუყოთ ეროვნულ საკითხს. რა ვქნათ, გამოვაცხადოთ საქართველოს რესპუბლიკა ეროვნული თვალსაზრისით ნეიტრალურ ზონად, სადაც ყველა ერის ხალხს შეუძლია მოვიდეს და შექმნას თავისი მცირე ეროვნული სახელმწიფოები? — ასეთი რამ არცერთ სახელმწიფოში არ ხდება. ვერცერთი ხალხი ვერ შეელევა თავის ეროვნულობას. ცხადია, საქართველომაც არ უნდა დაკარგოს თავისი ეროვნული სახე. არ გვგონია, რომ ბატონი რამაზ კლიმიაშვილი საქართველოს ეროვნულობის გაუქმების მომხრე იყოს. საქართველოს დამოუკიდებლობა იმისათვის გვინდა, რომ განვავითაროთ ჩვენი ეროვნული კულტურა, გადავიქცეთ დემოკრატიულ-ეროვნულ სახელმწიფოდ.

ჩვენ გვეჩვენება, რომ ბატონმა რამაზ კლიმიაშვილმა ნაციონალიზმს ეროვნულობაც გადააყოლა. იგი წერს: **„როგორც ცნობილია საქართველოში მე-19 საუკუნის ნაციონალიზმის სულისჩამდგმელი ი.ჭავჭავაძე იყო. ამ პერიოდში ეს იდეოლოგია ნამდვილად მოწინავე იყო და მას მხარს უჭერდა ევროპის ელიტა.“**

უნდა გვაპატიოს ბატონმა რამაზ კლიმიაშვილმა, რომ ეს დებულება ჩვენ მიუღებლად გვეჩვენება. ილია ჭავჭავაძე საქართველოში სულისჩამდგმელი იყო არა ნაციონალიზმის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. მისთვის სახელმწიფოს ეროვნულობა სრულიად არ ნიშნავდა ნაციონალიზმს. მაგრამ ირკვევა, რომ ბატონ რამაზ კლიმიაშვილს **„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც“ მიუღებლად, ანტიდემოკრატიულ მიმართულებად მიაჩნია და მას ნაციონალიზმის კატეგორიაში ათავსებს. იგი წერს: „მაგალითად, ჩვენში გასაგები შარავანდედითაა მოსილი კომუნისტების გამოგონილი ტერმინი „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა,“ მაშინ როდესაც დასავლეთში ყველამ იცის, რომ ამ ტერმინით ინიღბებოდნენ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული კომუნისტური ორგანიზაციები, რომელთა მიზანი იყო არა უბრალოდ დამოუკიდებლობა, არამედ ახალი კომუნისტური ქვეყნების შექმნა“.** კომუნისტები თავის იმპერიულ იდეოლოგიას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტერმინით ნიღბავდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ყოველი დაჩაგრული ერის სამართლიანი მოძრაობაა და იგი უნდა გავმიჯნოთ კომუნიზმის იდეოლოგიისაგან.

ეროვნულობა და დემოკრატიულობა ჩვენი აზრით, სულაც არ არიან ურთიერთისადმი ისე დაპირისპირებული, რომ ერთერთის არჩევა მეორის უარყოფას მოითხოვდეს. ჩვენი საზოგადოების აქტუალური ამოცანა სწორედ ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებაა. ამისთვის ნაციონალიზმის საპირისპიროდ ეროვნების სწორი თეორია უნდა გამოვიყენოთ, რაც მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ყალიბდება.

ეროვნების თეორია, სამწუხაროდ ცნობილი არ არის არც მაღალ ინტელექტუალურ წრეებში, სადაც უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა ეროვნული ნიჰილიზმი, ამის ერთ-ერთი დადასტურებაა გაზეთ „მამულში“ დაბეჭდილი ბატონების გურამ გეგეშიძისა და ზურაბ კიკნაძის ერთობლივი საუბარი ერის შესახებ (11.91).

ჩვენ ერთგვარი შეშფოთების გრძნობა გაგვიჩინა ბატონ ზურაბ კიკნაძის შეხედულებებმა. საწყენია, რომ ამ სერიოზულმა და დიდმა მეცნიერმა ეროვნული პრობლემები ერთი ხელის მოსმით, მეცნიერული მონაცემების გაუთვალისწინებლად გადაწყვიტა. იგი არ დაეთანხმა ბატონ გურამ გეგეშიძეს, რომელმაც ბატონი მიხაკო წერეთლის მსგავსად, ერი დაახასიათა, როგორც ორგანიზებული მთლიანი სისტემა, ბატონ გ.გეგეშიძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ დღეს მომქმედი ძალები დგანან „გარკვეული ჯგუფების პოზიციაზე და არა მთელი ქართველი ერისა“. მან სამართლიანად მიგვანიშნა იმაზე, რომ ამ მთლიანობის რღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ჩვენი ერის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის დაშლა და სიკვდილი.

საკვირველი პოზიცია დაიკავა ბატონმა ზურაბ კიკნაძემ, მან სცადა ერის, ამ უდიდესი სულიერი ფენომენისადმი ჩვენი დადებითი დამოკიდებულების შესუსტება, იგი ამბობს: **„იყო ერთიანი კაცობრიობა, ადამიდან მომდინარე, როგორც ადამი დაეცა და გავიდა წუთისოფელში არჩევანით, ასევე დაეცა კაცობრიობა, როცა ერებად დაიხლიჩა.“**

ჩვენ არა გვგონია, რომ ეს ქრისტიანობის საბოლოო აზრია ერისა და პიროვნების შესახებ. ისეთი დიდი რელიგიური მოძღვრება, როგორიც ქრისტიანობაა, შეუძლებია პიროვნებისა და ერის დიდი ღირებულებების და უფლების აღიარების წინააღმდეგი იყოს.

დღეს მეცნიერებისათვის ცნობილია, რომ სულიერი სამყაროს განვითარება დიფერენციაციისა და უნიკალიზაციის მიმართულებით მიდის. განვითარების ეს გზა სულაც არ არის სულიერი სინამდვილის დაცემისა და დაშლის გზა, არამედ სრულყოფისა და განუმეორებლობისაკენ სვლაა. ამ მოსაზრებაზეა აგებული პიროვნებისა და ერის უფლებათა დაცვის ღონისძიებანი, რომლებიც კაცობრიობის განვითარების დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს.

კაცობრიობა, ერისა და პიროვნებისაგან განსხვავებით, იმთავითვე მოცემული ერთიანი სულიერი ფენომენი არ არის, კაცობრიობა სხვადასხვა ერების გაერთიანების საფუძველზე ყალიბდება, როგორც ერთა გარკვეული თანავარსკვლავედი.

საპირისპიროდ კაცობრიობისა, როგორც პიროვნება, ისე ერი იმთავითვე მოცემული ერთიანი სულიერი ფენომენებია, რომლებიც დიფერენციაციისა და უნიკალიზაციის გზით ვითარდებიან. ამიტომ ერი და პიროვნება კაცობრიობის დაშლისა და დაცემის შედეგად მიღებულ ფენომენებად ვერ ჩაითვლებიან.

ბატონ ზურაბ კიკნაძეს ჩვენ ვერც პიროვნებისა და ერის ურთიერთობის გაგებაში დავეთანხმებით. მისი აზრით **„ადამიანი როცა იბადება, მისი ეროვნულობა მეორადი, შემთხვევითი ნიშანია და იმაზეა დამოკიდებული თუ იგი რა ეროვნულ-კულტურულ გარემოში გაიზრდება“.** ადამიანის უძირითადესი მიზნების მიღწევაში, პიროვნებად ჩამოყალიბებაში ბატონ ზურაბ კიკნაძის აზრით ეროვნულობა ძალიან მცირე როლს თამაშობს.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ბატონ ზურაბ კიკნაძის ამ შეხედულებას, რადგან ადამიანის პიროვნებასა და მის ეროვნულობას შორის ჭეშმარიტად ღრმა შინაგანი კავშირი არსებობს.

მართლაც, ადამის ძე რომელიმე ერის წარმომადგენლად არ იბადება, მასში მოცემულია ყველა ერის პოტენციალი. **„ადამის ძე მაშინ გახდება ქართველი, რუსი, თუ გერმანელი, როცა ის აღიზრდება ეროვნულ ტრადიციებზე“**, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ადამის ძე არც პიროვნებად იბადება. მასში ასევე მოცემულია პოტენცია, იქცეს პიროვნებად, თუ იგი აღიზრდება რომელიმე ეროვნული კულტურის ტრადიციებზე. ამის გარეშე იგი ვერ გახდება პიროვნება. მითი მაუგლის შესახებ არ გამართლდა, თუ ადამიანის ნაშიერმა დაბადებიდან დაახლოებით 10 წლამდე მაინც არ იცხოვრა ადამიანთა საზოგადოებაში, შემდეგ მისგან ადამიანის ჩამოყალიბება შეუძლებელი ხდება.

პიროვნება მხოლოდ გარკვეულ ეროვნულ-სულიერ კონტექსტში ყალიბდება. თვითონ ერი არის ერთიანი სულიერი არსება და მხოლოდ მის წიაღში აღზრდილი ადამის ძე ხდება პიროვნება. ამის გამო შეუძლებელია იმის თქმა, რომ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში ეროვნულობა უმნიშვნელო როლს თამაშობს.

აქ იმაზეც გვინდა მივუთითოთ, რომ პრესაში, სამწუხაროდ, ხშირად იწერება თითქოს ბატონი მერაბ მამარდაშვილი ჭეშმარიტებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ერს, რაც რაღაცნაირად ერის დევალვაციისათვის გამოიყენება. ეს დიდი მოაზროვნე ამ დებულებას ვერ დაეთანხმებოდა, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ამ მოვლენების ღირებულებათა დადგენის პირდაპირი მეთოდი არ არსებობს. იგი არც იმას იტყოდა, რომ ჭეშმარიტების სამსახური უფრო დიდი ღირებულების საქმიანობაა, ვიდრე ერის სამსახური, რადგან ამ საქმიანობათა მოტივები ცხოვრების სხვადასხვა შეუდარებად სფეროებს ეკუთვნის. აღნიშნული დებულება ბატონ მ.მამარდაშვილს გარკვეულ კონტექსტებში აქვს გამოთქმული. მას იმის თქმა უნდოდა, რომ როდესაც ადამიანი ერის სამსახურში ჭეშმარიტებას ღალატობს და სიყალბეს მიმართავს, ეს ამორალურ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს. ამ კონტექსტში მართლაც უნდა ითქვას, რომ ჭეშმარიტების სამსახური უფრო მაღლა დგას ვიდრე სიყალბით, ამორალური გზით ერის სამსახური, მითუმეტეს, რომ ასეთი საქმიანობა ნამდვილად არასოდეს არ ემსახურება ერის განვითარებას.

მ.მამარდაშვილი განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძოდა პროვინციულ-ნაციონალისტური ორიენტაციის წინააღმდეგ, რაც ზოგიერთს სხვა ერების უფლებათა შელახვის გზით საკუთარი ერის განდიდებისაკენ უბიძგებს. ცხადია, არც ამ ვითარების დასაგმობად გამოდგება დებულება, რომ ჭეშმარიტება ერის სამსახურზე მაღლა დგას, რადგან [illegible] საქმიანობა რომელიმე ერისა და საერთოდ ერთა შორის ურთიერთობის წინააღმდეგ არის მიმართული და [illegible]ლადე ან დაჩაგრული ერის სასარგებლო საქმიანობად ვერ ჩაითვლება. ამიტომაა, რომ ასიმილატორი ერებიც, როგორც წესი, დაშლასა და დეგრადაციას განიცდიან.

როგორც ცნობილია, სინამდვილეში ჩვენ ორ სულიერ არსებას (ეგზისტენტიას) ვცნობთ, რომლებიც თავისთავად ღირებულებას წარმოადგენენ. ესენია: ერი და პიროვნება. ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ, როგორც საშუალება, იარაღი სხვა ღირებულებების მოსაპოვებლად. მათი ასეთი გამოყენება ამორალურ, დანაშაულებრივ საქმიანობად ითვლება.

სულ სხვა ბუნებისანი არიან ისეთი აბსტრაქტული ღირებულებანი, როგორებიცაა ჭეშმარიტება, მორალი, სილამაზე, სიკეთე და სხვა. ისინი სულიერ არსებას არ წარმოადგენენ და შეიძლება გამოყენებულ იქნან ერის ან

პიროვნების პრობლემების მოსაგვარებლად.

ჭეშმარიტება ადამიანის აზროვნების და საერთოდ შემეცნების ნიშანს წარმოადგენს, რაც შესამეცნებელ ვითარებისადმი აზროვნების შესატყვისობას გამოხატავს. ჭეშმარიტების ღირებულება იმის კვალობაზე იზრდება თუ რამდენად ასახავს იგი სინამდვილეს. ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება და სხვა ღირებულებანი პიროვნებისა და ერის სულიერი განვითარების საქმეს ემსახურება. ასეთი ურთიერთობა ძალაში რჩება მაშინაც, როცა ჭეშმარიტება საგნობრივად რეალობის ნიშნად არის გაგებული. ასეთ ვითარებაშიც იგი ღირებულებად იქცევა ერთან და პიროვნებასთან ურთიერთობაში, ამიტომ, ცხადია, რომ ჭეშმარიტება და სხვა აბსტრაქტული ღირებულებანი შეუძლებელია პიროვნებაზე და ერზე მაღლა იდგნენ. ეს ყველაფერი კარგად იცოდა ბატონმა მ.მამარდაშვილმა. იგი ფაქტიურად იმას ამბობდა, რომ ერის ყალბი, მოჩვენებითი სამსახური, რაც ხშირად სხვა ერის უფლებათა შელახვით ხორციელდება, ჭეშმარიტების გმობაა და ერის კეთილდღეობის წინააღმდეგ არის მიმართული.

სამწუხაროა, რომ ჩვენში იშვიათად გამოითქმის სერიოზული და პრინციპული მოსაზრებები ერის შესახებ, რაც შეიძლება დაეხმაროს საზოგადოებას და ხელისუფლებას ქვეყნის მართვის საქმეში. ეროვნულობა ნაციონალიზმთან არის გაიგივებული და მასთან ბრძოლაა გამოცხადებული.

საკითხავია, რატომ გაჩნდა ეროვნულობისადმი ასეთი უარყოფითი განწყობა? ეს რთული, მრავალმხრივი საკითხია. ამის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, ჩვენის აზრით, ყოფილი ხელისუფლების ნაციონალისტური და ანტიეროვნული პოლიტიკა იყო. იგი ხაზს უსვამდა თავის ეროვნულობას, რაც თითქოს, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებლობის უნდა მიეღწია. ნამდვილად კი იგი ნაციონალისტურ, დიქტატორულ პოლიტიკას ეწეოდა, რის წინააღმდეგ აღსდგა დემოკრატიული ორიენტაციით გაერთიანებული ოპოზიციური ძალები. რადგან დიქტატორულ-ნაციონალისტური ხელმძღვანელობა თავის თავს ეროვნულ ხელისუფლებად თვლიდა, მის წინააღმდეგ ბრძოლას ბუნებრივად მოჰყვა ეროვნულობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. დღეს ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში იკვეთება ანტიეროვნული ტენდენციები, რაც ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ ანტინაციონალისტური და ანტიშოვინისტური ბრძოლის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს.

სწორედ ეხლა არის საჭირო გაცნობიერება, რომ ჩვენი ყოფილი ხელისუფლება, მართალია ეროვნული დროშით ატარებდა დიქტატორულ პოლიტიკას, მაგრამ ფაქტიურად იგი ანტიეროვნული ხელისუფლება იყო. მისი პოლიტიკის საფუძველზე გაჩნდა კონფლიქტები სხვადასხვა კუთხეებს შორის, საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის. გამწვავდა ურთიერთობა ეროვნულ უმცირესობებთან. მეზობელ და სხვა ქვეყნებში გაძლიერდა უარყოფითი განწყობა საქართველოს მიმართ. დროებითი ხელისუფლების ფაქტიურმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ შეაფერხა ქვეყნის ეროვნულ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი.

ერის კონსოლიდაციისათვის სახელმწიფოს მშენებლობაში ეროვნული ძალების ჩართვაა საჭირო. ეს კი ერის განვითარების კანონზომიერებათა გათვალისწინებას გულისხმობს. ამისათვის აუცილებელია ერის სწორი თეორიის ჩამოყალიბება, რასაც ხელს უშლის ეროვნული ნიჰილიზმი, რაც დღეს ძლიერდება.

ერის თეორია ჩვენში არ ვითარდებოდა, რადგან მას აქტიურად უშლიდა ხელს მარქსისტული იდეოლოგია. იგი იცავდა ერის მექანიცისტურ თეორიას, რომელშიც უგულებელყოფილი იყო ერის სულიერი მხარე. ერად მიჩნეული იყო ერთიანი ეკონომიკური სისტემის საფუძველზე გაერთიანებული ხალხის ერთობლიობა, რაც საერთო ენით, ტერიტორიით, კულტურით, ფსიქიკური წყობით და სხვა მეორადი ნიშნებით ხასიათდება. ამ განსაზღვრებაში გათვალისწინებული არ იყო ერის ფუნდამენტური ნიშანი, რომ იგი არის ორგანული და სულიერი ფენომენი, რომელიც რეალურად ცხოვრობს, რომელსაც აქვს თავისი მოთხოვნილებები და მიზნები, ქმნის მატერიალურ და სულიერ კულტურას. მაგრამ მთავარია მაინც ის, რომ ერი მთლიან პიროვნებას წარმოადგენს, რაც მისი სულიერებით არის გაპირობებული. ამ მთლიანობის დაშლა ერის დეგრადაციას და სიკვდილს იწვევს. ერს, როგორც სულიერ არსებას, აქვს ტენდენცია ჩაერიოს სხვა ერების ურთიერთობით შექმნილ ქსელში, სადაც იგი როგორც სუბიექტი და პიროვნება ყალიბდება. ამ კონტექსტში იკვეთება მისი განვითარების მიმართულება. ეს ყველაფერი პოტენციურად ეროვნულ სულში, მის ენაში, კულტურაში, ფსიქიკურ სტრუქტურაში და ეროვნულ ხასიათშია მოცემული, ხოლო ტერიტორია, ხალხი და ეკონომიკაც ერს თავისი ეროვნული პოტენციალის რეალიზაციის საშუალებას აძლევს.

ერს, ისევე როგორც ყოველ ცოცხალ არსებას, აქვს თავდაცვის მოთხოვნილება და შინაგანი ძალები თავისი სიცოცხლის დასაცავად. მაგრამ მისი უფლება არსებობაზე მისი სიცოცხლის დაცვის მოთხოვნილებებიდან არ მომდინარეობს, ბევრი ინდივიდი მხოლოდ ცოცხალი არსებით იკვებება. ადამიანებიც იყენებენ ცოცხალ არსებებს საკვებად. ერი, გარდა იმისა რომ ცოცხალი ინდივიდია, პიროვნების მსგავსად, სულიერი არსებაცაა. სწორედ ამიტომ არის მისი უფლებების შეზღუდვა ამორალური და მისი სიცოცხლის ხელყოფა დანაშაული.

ყოველი ერი თავისი მთლიანობის რეპრეზენტაციას მეფის, პარლამენტის, პრეზიდენტისა და სხვა უზენაესი ინსტანციის საშუალებით ახდენს. ერის ამ ბირთვის გარშემო ერთიანდება, მისი საშუალებით ხორციელდება ყველა სხვა ერთან ურთიერთობა. იგი გამაშუალებელი რგოლია ყოველგვარი ურთიერთქმედებისა, რასაც ერი საშინაო და საგარეო საქმიანობის სახით ასრულებს. ერის უნიკალობა სხვა ერებთან ურთიერთობაში იკვეთება. სხვა ერებთან ურთიერთობაში შესვლას, თუ თან არ ახლავს ერის დიფერენციაცია და შინაგანი ერთიანობის განმტკიცება, ამას ერთა ურთიერთში აღრევა და ურთიერთმტრობა მოსდევს, რაც იუგოსლავიაში და კავკასიაში ერთა შორის ტრაგიკულ პროცესში გამოვლინდა.

ეროვნული უმცირესობის უფლებათა დაცვა, რაც დღეს აქტუალურ საკითხად იქცა, ერის მთლიანი თეორიის ბაზაზეა შესაძლებელი.

ეროვნული უმცირესობის საკითხი ადვილად წყდება იმ ქვეყნებში, სადაც ისინი უკეთესი ცხოვრების საძიებლად ან თავის გადასარჩენად დასახლდნენ. ეს საკითხი გამწვავებულია იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ქვეყნის კოლონიზაციისა და ასიმილაციის ამოცანით მივიდნენ.

ერის სწორი თეორიის იგნორირების საფუძველზე ჩამოყალიბდა ჩვენი ურთიერთობები აფხაზ და ოს ხალხთან. ქართველ ხალხსა და ოსუმცირესობას შორის ურთიერთობა გაშუალებული იყო არა საქართველოს, არამედ რუსეთის ხელისუფლებით, რამაც შექმნა მტრული ურთიერთობა მათ შორის. ოსი ხალხის რუსიფიცირებულმა ფენამ დააჯერა თავისი ხალხი, რომ მათი ეროვნული განვითარება საქართველოსაგან გამოყოფით და რუსეთთან შეერთებით არის შესაძლებელი. ეს მაშინ, როდესაც რუსეთმა რამდენიმე ათეული ეროვნების ასიმილაცია და რუსიფიკაცია მოახდინა. ჩვენთვის მიუღებელია ეს პროცესი, რადგან ამითი ოსი უმცირესობა თავის ეროვნულ თვითმკვლელობასთან ერთად ჩვენი ტერიტორიის მთლიანობის დარღვევასაც აპირებს.

რუსეთის იმპერიალიზმის გავლენით ანალოგიური პროცესები გათამაშდა აფხაზი, ქართველი და რუსი ხალხების ურთიერთობაში. რუსეთის ძალადობამ და ჩვენი მხრივ, ეროვნების სწორი თეორიის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია საზარელი ინციდენტები ჩვენს ხალხებს შორის. ამ ამბების შემდეგ ბევრად უფრო გაძნელებულია სწორი ეროვნული პოლიტიკის გატარება, მაგრამ სხვა გზა არ არის, ეროვნებისა და კონფლიქტების თეორიის გაუთვალისწინებლად დიდხანს ვერ გამოვალთ ამ კრიზისული მდგომარეობიდან. საუკუნეების მანძილზე პიროვნება ფაქტიურად დაუცველი იყო. დაახლოებით 50 წელია, რაც ადამიანებმა შეიწყნარეს და მიიღეს პიროვნების უფლებათა დაცვის დეკლარაცია. ასეთივე დაცვა სჭირდება ერსაც. სამწუხაროდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დღეს სულაც არ იცავს ერების ინტერესებს. უფრო მეტიც, იგი თავის წევრად არც იღებს ანექსირებულ და ოკუპირებულ ერებს, ვისაც ყველაზე უფრო მეტად სჭირდება დაცვა. იგი ფაქტიურად თავისუფალი სახელმწიფოების გამაერთიანებელი ორგანიზაციაა. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ იგი მალე პიროვნების უფლებებთან ერთად ერის უფლებების დაცვასაც დაიწყებს, რადგან ჩვენი სინამდვილე ორი სულიერი არსებით არის დასახლებული: ერებითა და პიროვნებებით.

ერის ჭეშმარიტ ანთროპოლოგიურ თეორიაში შეიძლება გადაწყდეს პიროვნებისა და ერის ურთიერთობის საკითხები. იყო დრო, როდესაც ერს ენიჭებოდა უპირატესობა პიროვნებებთან შედარებით. პიროვნება ვალდებული იყო თავი გაეწირა ერისათვის, მას ხალხი გმირად რაცხავდა. ამაზე თანახმა იყო საზოგადოებრივი აზრიც და ცალკეული პიროვნებებიც. საზოგადოებისათვის ცნობილია ტენდენციები, რომელიც ყოველი პიროვნების მაქსიმალურ დამოკიდებულებას მოითხოვს. ჩვენ იმ შემთხვევებსაც ვიცნობთ, როცა ცალკეული „დიდი პიროვნებები“ ბატონობდნენ ერზე და სხვა პიროვნებაზე. ერის ჭეშმარიტ თეორიაში ბალანსირებულია პიროვნებისა და ერის ურთიერთობა. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა ასეთი თეორიის საფუძველზე უნდა იყოს აგებული.

ერის ანთროპოლოგიური თეორიის მიხედვით ყოველი ის ღონისძიება, რაც ერის იმთავითვე მოცემულ სულიერ ერთიანობას განამტკიცებს, მის განვითარებას უწყობს ხელს. მისი განვითარების ერთერთ სერიოზულ გარეპირობას სხვა ერებთან თანამშრომლობა წარმოადგენს. ერების ურთიერობათა ქსელია ის საცხოვრებელი გარემო, რომლის გარეშე შეუძლებელია ერის ცხოვრება და განვითარება.

ყოველი ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის გზა და კონცეფცია ერის ზოგად ანთროპოლოგიური თეორიის საფუძველზე უნდა იქნას გათვალისწინებული.

ერის ასეთი ერთიანი თეორიის დამუშავება, უპირველეს ყოვლისა, მცირერიცხოვანი ერების მეცნიერთა აქტუალური ამოცანაა, რაც სამართლის, ეკონომიკის, დემოგრაფიის, რელიგიის და სხვა ასპექტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამისი რეალიზაცია გაეროს დონეზეა შესაძლებელი. ჩვენი ქვეყნის ინიციატივას ამ მიმართულებით გარკვეული შედეგი შეიძლება ჰქონდეს. ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია, რადგან იგი დღეს საერთაშორისო დონეზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების საპატიო ამოცანაა ამ თეორიას ყოველმხრივ დასაბუთებული სახე მიეცეს და დააჯეროს მის ჭეშმარიტებაში ის ხალხი, ვისაც შეუძლია ამ საქმის რეალიზაცია.



პოეტის ერთი პუბლიცისტური ლექსი

# ნუ ვეძებთ მკვლელებს

## მიხეილ ქვლივიძე



ნუ ვეძებთ მკვლელებს
საქართველოს ფარგლების გარეთ,—
რადგან თვითონ ქართველები
ქართველებს კლავენ!
ნუ ვეძებთ სხვაგან
ავაზაკებს და ქურდბაცაცებს,—
რადგან ქართველებს
ქართველები თვითონ ძარცვავენ!
გადაგვარების ჩვენის მიზეზს
ნუ ვეძებთ სხვაგან, —
დამნაშავენი ყველაფერში
ჩვენა ვართ რადგან!
და სჯობს სარკეში ჩავიხედოთ
და ყველამ ერთად
პასუხი ჩვენი წახდენისთვის
მოვთხოვოთ ჩვენს თავს!

1992

ᲗᲣ ერთი ნათქვამის პერიფრაზს მივმართავთ, საქართველოს უზენაესი საბჭოს მზე მაშინ ჩაესვენა, გასული წლის შემოდგომაზე სესიის სხდომები რომ აჩვენეს ტელევიზიით.

იმან, რაც მაშინ ვიხილეთ, როგორც იტყვიან, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის მიერ პარლამენტში შექმნილმა არასაპარლამენტო, არაკომპეტენტურობით, არაპროფესიონალიზმით, არაეთიკურობით მოწერით ხშირად იბეჭდება ალნიშნული პრეზიდიუმის სხვადასხვაგვარი დადგენილებანი.

4 მაისის ნომერშიც გამოქვეყნდა მორიგი დადგენილება, რომლითაც „უქმდება" საარჩევნო კანონი და მომავალი, ოქტომბრისთვის დანიშნული არჩევნები უკანონოდ, არჩევნების შედეგები კი ბათილად ცხადდება.

აქ არ ვაპირებ ამ დადგენილების ვრცელ ანალიზს, არ შევჩერდები მისი ძალმოსილების საკითხზე. ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად ემსახურება იგი საქართველოში შინა (და არა მარტო შინა) მშვიდობიანობის, სტაბილიზაციის საქმეს.


# ᲒᲐᲐᲣᲥᲛᲐ... ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ

უხვად გაჯერებულმა ატმოსფერომ მრავალ, მათ შორის, ხელისუფლების პოზიციებზე მდგომ ადამიანსაც კი „სხვანაირად" დაანახვა ბევრი რამ (და ვინმე), „სხვანირად" დააფიქრა ბევრ რამეზე...

აღნიშნული უმრავლესობიდან ერთ-ერთ წამყვან როლს ბატონი მერაბ კიკნაძე ასრულებდა. მკითხველს, ალბათ, ახსოვს მისი უხეში თავდასხმები ოპოზიციონერ დეპუტატებზე, ის მწარე-მწარე რეპლიკები, უხვად რომ ისროდა მარჯვნივ თუ მარცხნივ...

გავიდა დრო და მ. კიკნაძე დაგროზნოში სათავეში ჩაუდგა საქართვლოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მას შემდგომ მათს არალეგალურ გაზეთში მ.კიკნაძის ხელ-

დღეს საქართველოში რეალურად არსებობს არალეგიტიმური, არაკანონიერი ხელისუფლება, რასაც-არალეგიტიმურობას — სხვათა შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღიარებენ. ასევე რეალობას წარმოადგენს ამ ხელისუფლებისადმი დაპირისპირებული ძალები, რომლებიც მოითხოვენ დამხობილი ხელისუფლების აღდგენას.

ფაქტია, რომ თუ არ მოიხსნა ეს დაპირისპირება, — რომელსაც უკვე დღეს მოაქვს უდიდესი უბედურება ქვეყნის, ხალხის ერთიანობისათვის, — შემდგომში კიდევ უფრო დიდი ტრაგედიის მოწმენი გავხდებით. საბოლოო ანგარიშით კი წააგებს ორივე მხარე, მთლიანად ქვეყანა.

ნათელია ისიც, რომ არსებული ხელისუფლება ნებით არ წავა, ყოფილი კი ძალით ვერ დაბრუნდება. შექმნილია ერთგვარად გამოუვალი სიტუაცია.

არსებობს ამ სიტუაციის, დილემის გადაჭრის ერთადერთი რეალური, არაძალისმიერი გზა — თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები ყველა პოლიტიკური ძალის მონაწილეობით, რომლის დროსაც ხალხი, ამომრჩეველი აირჩევს ან ერთ ან მეორე (ადა სულაც მესამე) მხარეს.

არ ვამტკიცებ, რომ ეს პანაცეაა, რომ ამით ყველა პრობლემა გადაიჭრება, მაგრამ სხვა, უკეთესი გზა, შანსი რომ არ არსებობს, ეს კი, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს.

და სწორედ ამ გზის, ამ შანსის წინააღმდეგაა მიმართული ზემოაღნიშნული დადგენილება.

გონივრული პოლიტიკა რეალობაზე აგებული, რეალობიდან გამომდინარე პოლიტიკაა. სამწუხაროდ, სწორედ ეს პოლიტიკა არ სჩანს, არ იგრძნობა დადგენილებაში, საერთოდ პრეზიდიუმის და კერძოდ, მისი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მოღვაწეობაში.

ფ. კ.


ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

გაზეთი „საქართველო" უმოკლეს ვადაში გამოაქვეყნებს თქვენს განცხადებებსა და რეკლამას თქვენთვის ხელმისაწვდომ ფასებში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ: ჭავჭავაძის გამზ. 35.
ᲢᲔᲚ. 22-16-01.


# ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## ᲠᲐ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ!

### ᲑᲠᲛᲐᲡ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ

კანადელ გერმან ბიფერტს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულიად ბრმაა, მისცეს მონადირის ლიცენზია. როცა 1989 წელს ბიფერტმა მიმართა ლიცენზიისათვის შესაბამის ორგანოს, მას უარი უთხრეს. მაგრამ ბიფერტმა ფარ-ხმალი არ დაყარა, საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას და პროცესიც მოიგო. მისი მთავარი არგუმენტი ასეთი იყო: „საინვალიდო ეტლით მოსიარულე ადამიანები იღებენ ლიცენზიას და რატომ მე არ შემიძლია ავიღო?!. მან უკვე მოასწრო ოთხჯერ ენადირა, მაგრამ ოთხივეჯერ უილბლოდ — უფრო სწორად, ოთხჯერ ყველაფერი კარგად დამთავრდა — მან ჯერ კიდევ ვერავინ მოკლა. მისი მეგობარი ამბობს, რომ ნადირობისას ისინი იცავენ უსაფრთხოების წესებს, კერძოდ, როცა გერმანი იარაღს იმარჯვებს, ჩვენ ყველა მიწაზე ვწვებითო.

### ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ

ოციან წლებში ამერიკაში, კანზას-სიტიში ცხოვრობდა თავისი სიმკაცრით განთქმული მოსამართლე ჯეიმს ვაიტი. მსჯავრდებულთათვის თითქმის ყოველთვის სასჯელის უმაღლესი ზომა გამოჰქონდა. ამასთან, იგი გამოირჩეოდა უსაზღვრო პედანტიზმით. თუ ვინმე სასამართლოზე დაგვიანებით გამოცხადდებოდა, მას სასჯელი განაღდებული ჰქონდა.

ერთხელ თვით მოსამართლეს დააგვიანდა სასამართლოზე ნახევარი საათით, რისთვისაც მან საკუთარ თავს გამოუწერა ჯარიმა 10 დოლარის ოდენობით.

### ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ბინების მძარცველ ჯეკ ბლეკვუდს, რომელიც ცხოვრობდა ამერიკაში, ოჰაიოს შტატის ქ.კოლუმბუსში, ერთბაშად დაატყდა თავს ბედნიერებაც და უბედურებაც. საქმე იმაშია, რომ მას აწუხებდა ფარისებური ჯირკვლის მწვავე ანთება, რისთვისაც საჭირო იყო ოპერაციის გაკეთება. ოპერაცია ძალიან ძვირი ჯდებოდა, ბლეკვუდს კი ფული არ გააჩნდა და ამ მიზნით მან გადაწყვიტა სახლის გაძარცვა. მიზანში ერთი სახლი ამოიღო, რომლის პატრონებიც ქალაქგარეთ იყვნენ გასულები. სახეზე შავი ნიღაბი ჩამოიცვა და სახლში შევიდა. უეცრად შემოესმა შეძახილი „ხელები ზევით!" და სანამ ბლეკვუდი რევოლვერს დააძრობდა, გასროლის ხმაც გაისმა. კისერში დაჭრილმა ბლეკვუდმა გონი დაკარგა და დაეცა. აღმოჩნდა, რომ სახლში იმყოფებოდა სახლის პატრონის ნათესავი.

გონზე ბლეკვუდი უკვე საავადმყოფოში მოვიდა, სადაც მის საწოლზე დახრილმა ექიმმა ასეთი რამ უთხრა მას: „მომილოცავს, მისტერ ბლეკვუდ, ტყვიამ ყველაფერი ზედმიწევნით გამოასუფთავა. უკეთესად ვერც მე გავაკეთებდი. ოპერაცია თქვენ უკვე აღარ გჭირდებათ".

ასე მოხვდა ბლეკვუდი საავადმყოფოს ნაცვლად ციხეში, სადაც ოთხი წელი გაატარა.

### ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲡ ᲐᲠ ᲣᲚᲮᲘᲜᲡ

ფაქტია, რომ ფენომენი ამოუცნობია. 22 წლის ბატმუნხიონ უნურმა — „ცეცხლოვანი ქალია". მონღოლეთის დედაქალაქის ერთ-ერთი ავტობაზის პოლიტიკური კაბინეტის გამგის შვილს გააჩნია უნიკალური ფენომენი — შეუძლია მის გარშემო მყოფი საგნების აღება, რასაც მისთვის მხოლოდ უსიამოვნებები მოაქვს.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ერთ დღეს სამედიცინო ტექნიკუმის მასწავლებელმა, სადაც გოგონა სწავლობდა, გაბრაზებულმა რვეული ესროლა ბატმუნხიონს, რომელიც დაცემისთანავე აალდა და დაიწვა. ამის შემდეგ ასეთი ფაქტები ხშირად ხდებოდა და შეწუხებულმა მშობლებმა გადაწყვიტეს იურტიდან მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში გადასვლა, სადაც საგნების აალება ისევე გაგრძელდა, როგორც უწინ. საოცარი ისაა, რომ როცა საგნები იწვის, მათ წყლის დასხმითაც ვერ აქრობენ, ამასთან, არც კვამლი, არც ფერფლი არ რჩება. სპეციალისტები ამ ფენომენს ვერ ხსნიან.

მოამზადა
ᲡᲔᲠᲒᲝ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐᲛ



კიდევ ერთი გულანთებული ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა საქართველოს წინააღმდეგ შიდა ქართლში გაჩაღებულ ომს. 11 მაისს სოფელ ერგნეთში ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის" ქართლის სადროშოს თავკაცი და ეროვნული გვარდიის ოფიცერი

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲐᲮᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთი „საქართველო" ღრმა სამძიმარს უცხადებს თავდადებული ქართველი ვაჟკაცის ოჯახს.

## ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ჩვენი გაზეთის წინა, მეთვრამეტე ნომერში კორექტორისა და მორიგის უყურადღებობის გამო დაშვებული იქნა უხეში შეცდომა (გვერდი I, სვეტი II, სტრიქონი 32). სიტყვა „ციმბირში"-ს ნაცვლად უნდა იყოს „თბილისში".

რედაქცია ბოდიშს იხდის აღნიშნული ფაქტის გამო.


ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66447
ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲞᲠ. № 35 ᲢᲔᲚ. 22-16-01
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ, ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ 29.
ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

რედაქტორი ᲜᲝᲓᲐᲠ ᲑᲠᲘᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ